პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

კვირა 23 ივლისი 1978 წ. № 172 (17216) ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საფოსტო კავშირგაბმულობით ქვეყნის მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა საფოსტო კავშირგაბმულობის მუშაობის სრულყოფისათვის, აშენდა და განახლდა საქალაქო და სარკინიგზო ფოსტამტები, გაახსნა კავშირგაბმულობის ახალი განყოფილებები, გაიზარდა ფოსტის გადაზიდვა საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტით. ქვეყნის ყველაზე დიდ ქალაქებში მოეწყო ცენტრალური გაზეთების ტექსტის ჩქაროსნული გადაცემა ფოტოტელეგრაფული მეთოდით, რათა გაზეთები იბეჭდებოდეს და ამ ქალაქების მოსახლეობას მისდიოდეს მოსკოვში გამოსვლის დღეს.

ამასთანავე სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის საფოსტო კავშირგაბმულობით მომსახურება კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს, ნელა ვითარდება საფოსტო კავშირგაბმულობას მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ზოგიერთ ფოსტამტსა და კავშირგაბმულობის კვანძში კორესპონდენციის დამუშავება ხელით წარმოებს. არის შემთხვევები, როცა ირღვევა წერილების, გაზეთებისა და ჟურნალების მიტანას დადგენილი ვადები. დიდია საფოსტო მუშაკების კადრების, მეტადრე, ფოსტალიონების დენადობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების კავშირგაბმულობის სამინისტროებს დაავალეს განახორციელონ ღონისძიებანი ფოსტის საწარმოო-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარებისათვის, კავშირგაბმულობის საწარმოთა აღჭურვისათვის წერილების, ბანდროლებისა და ამანათების დახარისხების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებებით. დაარჭარონ ქალაქებსა და სოფლებში ფოსტის მოტორიზებული მიტანა, გააფართოონ საფოსტო გზავნილებთა კონტეინერებით გადაზიდვა, უფრო აქტიურად აწარმოონ მუშაობა არსებული შინაგანი რეზერვების გამოყენებისათვის იმ მიზნით, რომ სრულად კმაყოფილდებოდეს მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება საფოსტო კავშირგაბმულობით მომსახურებაზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებას და შესახებამის უწყება-სამინისტროებს დეკემბარამდე გადაწყვიტონ საფოსტო კავშირგაბმულობის საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები; შეიმუშაონ და აითვისონ ავტომატური ფოსტის დასამუშავებელი მანქანების კომპლექსის, გაზეთების ექსპედირების ავტომატური ხაზების წარმოება; განახორციელონ სპეციალიზებული საფოსტო ვაგონების მოდერნიზაცია, მიაწოდონ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ახალი საფოსტო ვაგონები. სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ, რომ საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც დიდძალ ამანათებს გზავნიან ფოსტით, გამოყონ საწარმოო სადგომები ამანათების მექანიზებული დამუშავებისათვის საჭირო მოწყობილობათ.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გაფართოვდეს კავშირგაბმულობის საფოსტო განყოფილებების ქსელი, განსაკუთრებით ახალი სამინაო მშენებლობის რაიონებში, შეუქმნან საჭირო კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები საფოსტო კავშირგაბმულობის კოლექტივებს, მეტი სამსახურებრივი ბინები გამოუყონ ფოსტალიონებს, გაზარდონ ადგილების რიცხვი მათი შვილებისათვის სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში, გააფართოონ პრესისა და წერილობითი კორესპონდენციის გადაზიდვა საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მარშრუტების სარეისო ავტობუსებით. საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს გაითვალისწინონ კავშირგაბმულობის საწარმოთა ტექნოლოგიური მოთხოვნები სახლების სადარბაზოებში საბინაო-ენტო კარადებისა და ბეჭდვითი გამოცემების, შესანახი ადგილების (საყრდენი პუნქტების) განლაგების უზრუნველსაყოფად. მოაწყონ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში საბინაო-ენტო კარადებისა და საჭირო გასაგზავნი ტარის წარმოება.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს რჩევა მიეცათ აამაღლონ საფოსტო კავშირგაბმულობის საწარმოებში მიმდინარე მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონე, გააძლიერონ კადრებისადმი მომთხოვნელობა დაკისრებული საქმისათვის. აღმოუჩინონ მეტი კონკრეტული დახმარება შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, საფოსტო კავშირგაბმულობით მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მომსახურების კულტურის ამაღლებაში, ფართოდ დაიჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება საფოსტო კავშირგაბმულობის საწარმოებს შორის დადგენილი დავალებებისა და ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

ხუთწლედის ვახჯზე

420 ათასი ტონა ჩაისათვის!

გეგმა-ვალდებულება განაღდებულია

ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იგლისის პლენუმის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებების პასუხად ფართოდ გაიჩაღა სოციალისტური შეჯიბრება და გიგანტელთა მაგალითისამებრ იბრძვის იმისათვის, რომ სამშობლოს მისცეს რაც შეიძლება მეტი პროდუქცია.

მეურნეობამ **20 ივლისისათვის ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარე წლის 3 თვის გეგმა-ვალდებულება გადამეტებით შეასრულა. ნაცვლად 2207 ტონისა მოკრეფილია 2222 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი; ამით მეურნეობამ შეასრულა აგრეთვე ჩაის ფოთლის დამზადების ხუთწლედის პირველი 3 წლის გეგმა-ვალდებულებაც; ნაცვლად 7849 ტონისა მოკრეფილია და სახელმწიფოს მიეყიდა 7890 ტონა ჩაის ფოთოლი.**

მეურნეობამ გადაჭარბებით გაანაღდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმა-ვალდებულებებიც. **ხორცის დამზადების გეგმა განაღდებულია 211,7 პროცენტით, რძისა — 115,6 პროცენტით.**

ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს მეურნეობის დირექციამ, პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა კომიტეტებმა.

მეაბრეშუმეთა მაგალითი

ახმეტის რაიონის მეაბრეშუმეებმა **20 ივლისისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის მიმდინარე წლის გეგმა; ნაცვლად 760 ცენტნერისა დამზადებულია 760,25 ცენტნერი.** ამ საქმეში თავი გამოინიეს ზემო ალვანის საჯიშე მეცხვარეობის, ზემო ალვანის მეცხვარეობისა და მაღრაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების მეაბრეშუმეებმა.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. ბატიაშვილმა.**



ელიხო თოდუამ, რომელიც შარშან სიმწიფის ატესტატით მოვიდა კოლმეურნეობაში სამუშაოდ, გამრჯე შრომით თავიდანვე მიიპყრო ყურადღება. გაპიროვნებული ჩაის პრანტაციიდან გეგმური 2,5 ტონა ჩაის ფოთლის ნაცვლად 3,5 ტონა ნედლეული მოკრიფა, მუყაითი შრომით ასახელა მშობლიური კოლმეურნეობა.

წლეულს კომკავშირელი გოგონა 5 ტონა ჩაისათვის იბრძოდა, მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იგლისის პლენუმის დადგენილების და ამ პლენუმზე ლ. ა. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიანი მოხსენების პასუხად გადაწყვიტა სეზონის ბოლომდე მოკრიფოს 5,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ახლა პლანტაციებში ჩაის ფოთოლი უხვად არის შემოსული. ელიხოც გაორკეცებული ენერგიით შრომობს და ყოველდღიურად 70-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

ხურათზე: ელიხო თოდუა ჩაის პლანტაციებში.

კ. ყუფუნიას ფოტო.

ტრანსფორმატორები — თავისუფლების კუნძულს

ტყიბული. (საკ. კორ.). „საჩარხო ტრანსფორმატორები — თავისუფლების კუნძულს“ — ამ დევიზით სულ უფრო ფართოდ ჩაედება სოციალისტური შეჯიბრება ელექტრული ტრანსფორმატორების ქარხანაში. ამ დღეებში მთავარი საამქროს ამწყობი კონვეიერიდან უკვე გაგდმოვიდა მე-59000 ტრანსფორმატორი. სამეურნეო წლის პირველ ნახევარში გეგმათლეგმა აწარმოეს 1652000 ათასი მანეთის პროდუქცია — გაცილებით მეტი ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებდა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით 83 ათასი მანეთი დაზოგეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საწარმოს მიერ გამოშვებული საჩარხო ტრანსფორმატორების უდიდესი ნაწილი საექსპორტოა. მეტრანსფორმატორეები წელს ძირითადად კუბის დაკვეთის შესასრულებლად მუშაობენ. გელათიდან თავისუფლების კუნძულის მისამართით უკვე გაიგზავნა 1080 ცალი მაღალსახსნიანი სამფაზიანი დენის საჩარხო ტრანსფორმატორი. გელათური ნაწარმი, გარდა კუბისა, გაიგზავნა აგრეთვე ბოლონეთში, ვიეტნამში, პაკისტანში, ირანში, მონღოლეთში, სირიასა და თურქეთში.

საექსპორტოდ ტრანსფორმატორების ვადაზე ადრე გაგზავნის საქმეში საუკეთესო შედეგები მოიპოვა უბანმა, რომელსაც ახალგაზრდა სოციალისტი ზ. ბაქრაძე ხელმძღვანელობს. უბნის ყველა ბრიგადა ახლა უჩამორჩენილებად მუშაობს. გელათელები ამყვამად ახალი პროდუქციის — გაუჭაობესებული ტიპის საჩარხო ტრანსფორმატორის გამოშვებისათვის ემზადებიან.

მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში

ბორი. ქალაქის სამრეწველო საწარმოთა ფლაგმანის — ბამბეულის კომბინატის მრავალათასიანი კოლექტივის სასახელო საქმეებს ფართოდ იცნობენ დღეს ჩვენს რესპუბლიკაში. კოლექტივს სახელს მატებენ წარჩინებული ფიქრები.

ერთ-ერთი მათგანია მარინე ალბუთაშვილი — კომბინატის № 1 სართავი ფაბრიკის მრთველი, სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის დელეგატი, ნოვატორი ფეიქარი. ამ დღეებში მარინემ სამშობლოს უდიდესი შრომითი გამარჯვება უპატაკა — ორწელიწადნახევარში შეასრულა მეათე ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებული სახელმწიფო დავალება. 80780 კილოგრამის ნაცვლად გამოშვებულია 81 ათასი კილოგრამი ნართი.

„ორი ხუთწლედი — ერთ ხუთწლედში!“ — ამ დევიზით დაიწყო შრომა მიმდინარე ხუთწლედის დამდეგს კომუნისტური შრომის დამკვრელმა კომკავშირელმა ქალაშვილმა და აი, ვალდებულების პირველი ნახევარი ღირსეულად გაანაღდა.

მარინე ალბუთაშვილის შრომითს კალენდარზე უკვე მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი ფურცლები გადაიშალა.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ კორ.

ჩვენი სოფლის აღმავლობის პროგრამა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებასა და პლენუმის დადგენილებაში მოცემულია იმ სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტისათვის ბრძოლის მკაფიო, კონკრეტული და მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

თუ 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახლანდელი აგრარული პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს, ივლისის პლენუმმა განსაზღვრა საბჭოთა სოფლის შემდგომი განვითარების მაგისტრალური გზა, — აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამართულ XII პლენუმზე, რომელიც მიეძღვნა ივლისის პლენუმის შედეგებს და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის ამოცანებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმმა ყოველმხრივ, ღრმად, მეცნიერულად გააანალიზა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ განვლილ დროში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით წინ გადადგმული ნაბიჯები.

1965 წლის შემდეგ ძირითადი საწარმოო ფონდები სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში ჩვენთან 2,4-ჯერ გადიდდა. ამავე პერიოდში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ენერგეტიკული სიმძლავრენი გაიზარდა 88 პროცენტით, ხოლო შრომის ენერგოდაზოგვა — 1,6-ჯერ; არსებითად ხელახლა შეიქმნა ქიმიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მნიშვნელოვნად გადიდდა კაპიტალური დაბანდებანი მიწების მელიორაციაში.

ბევრი რამ გაკეთდა კვალიფიციური კადრებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფისათვის.

იმატა სახოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობამ და მთლიანმა მოსავლმა, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებამ.

1977 წელს, 1965 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობის მთლიანი შემოსავალი 73 პროცენტით გაიზარდა. ამის მეოხებით გაუმჯობესდა მშრომელთა კეთილდღეობა, უფრო სრულად კმაყოფილდება მათი მოთხოვნილება ხურსაზე.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ამ მნიშვნელოვანი მაჩვენებლების ზრდის ტემპი გაძლიერდა 1972 წლის შემდეგ, როცა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. რესპუბლიკამ არა მარტო დაძლია მეცხრე ხუთწლედის პირველი ორი წლის ჩამორჩენა სოფლის მეურნეობაში, არამედ მნიშვნელოვნადაც გადაჭარბა საგეგმო დავალებებს და გააძლიერა დარგების განვითარების ტემპი.

ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმმა სათანადო შეფასება მისცა პარტიის აგრარული პოლიტიკის განსახორციელებად რესპუბლიკაში გაწეული მუშაობის დიდ მნიშვნელობას და ამავე დროს აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის საერთო დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს.

პლენუმმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საჭიროა სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მრავალმხრივი პრობლემების შემუშავებაში უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ არა მარტო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა მუშაკები, არამედ მთლიანად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ყველა დარგის მეცნიერი.

პლენუმმა პარტიულ კომიტეტებს დაავალა საბრძოლოდ მოამზადონ ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალება; დარაზმონ ქალაქისა და სოფლის კომუნისტები, ყველა მშრომელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის მასალებსა და გადაწყვეტილებებში, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში მოცემული ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გრანდიოზული პროგრამის განსახორციელებლად საყოველთაო-სახალხო ბრძოლისათვის.

რესპუბლიკის მშრომელები, რომლებმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებები მხურვალედ მოიწონეს და ღვიძლ სამედ აღიქვეს, კიდევ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, კისრულობენ მიმდინარე წელს სამშობლოს მისცენ: 512 ათასი ტონა ყურძენი, 420 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 160 ათასი ტონა მარცვლეული, 130 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი, 145 ათასი ტონა კარტოფილი, 295 ათასი ტონა ბოსტნეული, 150 ათასი ტონა ციტრუსი, 140 ათასი ტონა ხორცი, 265 ათასი ტონა რძე და სხვა პროდუქტები.

ახლა თითოეული შრომითი კოლექტივის პირველი და გადაუდებელი ამოცანაა ფართოდ გაშალოს ბრძოლა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

21 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 1978 წლის პირველი ნახევარწლეულის შედეგები.

სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მიმდინარე წლის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგად ახალი წარმატებანია მიღწეული ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

სამრეწველო წარმოების მატებამ 1978 წლის პირველ ნახევარში 1977 წლის პირველ ნახევართან შედარებით შეადგინა 5,2 პროცენტი წლევანდელი გეგმით გათვალისწინებული 4,5 პროცენტის ნაცვლად. სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის დაგალებანი შეასრულა ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ, სსრ კავშირის ყველა სამინისტრომ და უწყებამ.

თანამიმდევრულად ხორციელდებოდა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების ღონისძიებანი.

წარმატებით სრულდებოდა სოციალური პროგრამა. გაიზარდა მოსახლეობის რეალური შემოსავალი.

ამასთანავე აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ზოგიერთმა სამინისტრომ, უწყებამ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭომ ვერ უზრუნველყვეს ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოების, საწარმოო სამძლავრეთა ამოქმედებისა და ათვისების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მოგების საგეგმო დავალებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის მინისტრებს, უწყებათა ხელმძღვანელებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის და 1978 წლის ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივებით ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებზე, გულდასმით გაანალიზონ სსრ კავშირის საწარმოების, მშენებლობებისა და ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის 1978 წლის პირველი ნახევრის შედეგები, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რათა უზრუნველყონ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულება.

ამავე სხდომაზე განხილულ აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 25 მაისის დადგენილება „1978 წელს მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების და საკვების დამზადების უზრუნველყოფისა და 1978-79 წლის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების დამატებით გამოზამთრების ღონისძიებათა შესახებ“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებს და უწყებებს განახორციელონ ღონისძიებანი, რათა მოკლე ვადაში დამთავრდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დამამზადებელი, გადამმუშავებელი და სატრანსპორტო საწარმოო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადება მოსავლის აღების, მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის დამზადებისა და მასობრივი გადაზიდვისათვის, უზრუნველყონ მოსავლის აღების სამუშაოთა მოკლე ვადაში დამთავრება, ყველა მოწეული კულტურის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და პირუტყვის მომავალი გამოზამთრებისათვის დროული მომზადების მიზნით.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კ. ტ. მაზუროვმა.

ვრცელია ჩვენი ქვეყანა

თვითმოქმედების დათვალიერება

ივლისს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე დაიწყო მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების სრულიად საკავშირო დათვალიერება-კონკურსი, რომელიც აგვისტოს ბოლომდე გასტანს. მასში მონაწილეობას მიიღებენ ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები და საგიტაციო-მხატვრული ბრიგადები, შრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების სრულიად საკავშირო ფესტივალის ლაურეატები.

ეს დათვალიერება, რომელიც სრულიად საკავშირო ალკკ 60-წლისთავს ეძღვნება, — მოსკოველებსა და დედაქალაქის სტუმრებს კვლავ გააცნობს საუკეთესო კოლექტივებს, რომლებიც ქვეყნის თვითმოქმედი ხელოვნების მოყვარულთა 25-მილიონიანი არმიის წარმომადგენელნი არიან.

კონკურსის პირობებით საუკეთესო აგიტბრიგადებსა და ანსამბლებს დაუჯილდოებენ დიპლომებით, ხოლო მათ ხელმძღვანელებსა და ცალკეულ შემსრულებლებს — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლებით.

(საკდესი).

ესტაფეტას იღებენ

ქარბი შევსება მოდის ამ დღეებში ქალაგის კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობებში. მაგალითად, ბარიატინოს რაიონის სოფლებში სამუშაოდ დარჩა საშუალო სკოლების ყველა კურსდამთავრებული. საშუალო განათლების ატესტატთან ერთად მათ მიიღეს ფართო პროფილის მექანიზატორი-ოპერატორ-ოპერატორ-ოპერატორ

23 ივლისი მაჭროგის მუშაკის დღეა

მოწინავე სექცია

სურათზე: თბილისის ცენტრალური უნივერმაღის ჭალის ტანსაცმლის სექციის გამყიდველები, კომკავშირელები ლუიზა მაჩაიძე და გუგული გიგოლავა.

სექცია, რომელშიც ისინი მუშაობენ, ერთ-ერთი მოწინავეა უნივერმაღში. აქ წელს მომხმარებლებმა გეგმის გადამეტებით 58.000 მანეთიან პროდუქცია შეიძინეს.

ნ. პილაძის ფოტო.

საქმის სიყვარულით

დღეს ვაჭრობის მუშაკის დღეა და მინდა ორიოდე სიტყვით შევეხებიანო ამ დარგში მომუშავე ადამიანებს. საქმე ის არის, რომ როცა ჩვენი მშრომელი ადამიანების სავაჭრო მომსახურებაზე ვმსჯელობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის სასიკეთო, სასარგებლო და უაღრესად მნიშვნელოვანი ძვრები, მოპოვებული წარმატებები, რომლებსაც უკანასკნელ წლებში მფლეწეიო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად.

მე ამის წინათ ვმონაწილეობდი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საყოველთაო კომისიის მორიგ სხდომაში. იქ ძალიან სერიოზული საუბარი და მსჯელობა იყო ამ მხრივ ჩვენში არსებული წარმატებებისა და ნაკლოვანებების შესახებ. მე იქ აღვნიშნე და ახლაც ვიტყვი, რომ ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა ამ უკანასკნელ წლებში. ახლა ჩვენი ქალაქების ბევრ სამრეწველო საწარმოთა მშრომელებს, მათი ოჯახების წევრებს ფართო მოხმარების საგნების, ყოველდღიური მოთხოვნილების პროდუქტების შეძენისათვის საკომერციო ბაზაში, ქალაქის მაღაზიებსა და კვების ობიექტებში არ უხდებათ საარული, ძებნა და რაც მთავარია დროის დაკარგვა. დრო კი, როგორც მოგეხსენებათ, მშრომელი ადამიანისათვის უძვირფასესი რამ არის.

მარტო რუსთავის საწარმოთა მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ამ მხრივ ბევრი რამ მოგვარდა. უფუოდ გაუჭობესდა სამეურნეო და სასოფლო სამეურნეო პროდუქტით მომარაგება, უშუალოდ საწარმოებში ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, სურსათის შემოტანა და გაყიდვა. სავაჭრო ორგანიზაციათა მუშაობის ასეთმა მეთოდმა არა მარტო გზა გადაღობა სპეკულანტებსა და თაღლითებს, არამედ საშუალება მოგვეცა მცირე დროის დახარჯვით ვიყიდოთ ყოველივე ის, რისი შეძენისათვის საათები და დღეებიც ეფანგებოდა. ასეთი პრაქტიკა ხელს გვიწყობს საწარმოო ეგზამენების, საზოგადოებრივ დავალებათა შესრულებაში, ოჯახზრუნვაში, შვილების აღზრდისათვის დროისა და საშუალებების გამონახვაში.

რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანაში სულ ორიოდე წელია ვმუშაობ. ჩემი კოლეგებისაგან ვიცი, რომ ადრე მუშათა მომსახურების საქმე უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ეს უკანასკნელი ხანია ამ მხრივ ძირეული ცვლილებები მოხდა. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული, ქიმიური ბოჭკოს და ზოგიერთ სხვა მსხვილ საწარმოში გახსნილია სამრეწველო საქონლისა და სურსათის მაღაზიები, სადაც იყიდება ოჯახებისათვის საჭირო პროდუქცია. ერთი სიტყვით, ვაჭრობა მიუახლოვდა მუშაკს. სწორედ რომ სამართლიანადაც გაიგონებთ ახლა მაღლობის გამომხატველ სიტყვებს, და რაც მთავარია ეს კეთილად მოქმედებს თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე. ყველაფერი ამ მხრივ ჯერ კიდევ მოგვარებული არ არის, მაგრამ ის, რაც კეთდება უთუოდ მნიშვნელოვანია.

ნათქვამია, ვაუეეილს გატეხილი ჯობიაო და მინდა უთქვეი არ დავტოვო ის, რაც მაწუხებს და მაფიქრებს. საქმე ის არის, რომ ჩვენს ქარხანაში სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმე ნამდვილად მოუწესრიგებელი იყო. ამაზე სერიოზული კამათი ხდებოდა მსჯელობა გვქონდა. მშრომელთა აქტიურობას მზარი დაუქირეს ადმინისტრაციამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, დაგსახეთ სათანადო ღონისძიებანი და ჩვენი მოსახრებანი ქალაქის ხელმძღვანელობასა და რუსთავეკრობას წარვუდგინეთ. და აი შედეგიც. წლეულდელი წლის დამდეგიდან ქარხანაში სისტემატიურად მოდის სპეციალური ავტოფარდული, რომელსაც შემოაქვს სამანული და იმპორტული საქონელი — ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა პროდუქცია. ერთი შეხედვით თითქოს ჟბრალო საქმეა, მაგრამ ჩვენთვის — საწარმოს მშრომელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამასთან აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თუ ყველა საწარმო-დაწესებულებებში დავნერგავთ მუშაობის ასეთ მეთოდს, იგი დიდად შეუწყობს ხელს არა მარტო მომსახურების გაუჭობესებას, არამედ შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, საერთო საქმის წინსვლას.

ჩვენთან შედარებით გაუჭობესდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობა. ქარხანაში ხშირად შემოაქვთ ხილი, ბოსტნეული და საერთოდ სურსათი. ამის შედეგად პროდუქტებზე შორს სიარული ალარ გვჭირდება. მაგრამ ამ სასარგებლო წამოწყებას გონიერი კაცის ხელი აკლია. ვფიქრობ საჭირო იქნება ჩვენი საწარმოსა და ქალაქის სავაჭრო დარგის ხელმძღვანელობამ იფიქროს ქარხნის ტერიტორიაზე სამრეწველო და სასურსათო მაღაზიების გახსნაზე. ისე როგორც ეს რუსთავის ზოგიერთ მსხვილ სამრეწველო საწარმოებშია. ყოველივე ეს საერთო საქმისათვის მეტად სასარგებლო იქნება. ამას წინათ ჩვენი მუშებისათვის ქართული პურის თონე გავხსენით. ახლა საწარმოს მუშა-მოსამსახურეებს აღარ სჭირდებათ პურის საყიდლად ქალაქში წასვლა. ვფიქრობ ადგილზე მაღაზიების გახსნით მუშებისათვის სასიკეთო საქმეს მოვაგვარებთ. გვაქვს კეთილმწყობილი სასადილო, სადაც ერთდროულად 100 კაცი სადილობს, მაგრამ მინდა გულახდილად ვთქვა, რომ ადამიანები, რომლებიც ამ სასადილოში მუშაობენ, მაინცდამაინც გულიანად ვერ ეკიდებიან საქმეს. ხშირად სადილები ერთფეროვანია, არც ყუთიანობა არის სანაქებო. დასამალი როდია, რომ მუშები ჩვენი სასადილოდან ხშირად უკმაყოფილონი გამოდიან.

საზოგადოებრივი, სახალხო საქმისათვის დიდად სასიკეთოდ მიმაჩნია ის ეფექტიანობა, ნაკლისა თუ წარმატების საჯაროდ გამოთქმა, რაც უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში არის დამკვიდრებული. უთუოდ ნიშანდობლივია ის, რომ ასეთმა ვითარებამ, ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნისათვის ბრძოლამ გაგვიძტკიცა ნდობაცა და მომავლისადმი რწმენაც. შრომა უფრო სახალისოა, მაგრამ ჩვენ, მუშებს ეს გაწყობილება უფრო გაგვიორკეცდება, მომსახურების ყველა როლში წესიერებას და წესრიგს რომ ეგრძნობდეთ. ამას მთქმელიც ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც მეტალურგიული ქალაქის და საერთოდ სავაჭრო მომსახურებაში ჯერ კიდევ არის.

შ. რევაზიშვილი,
რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნის ოერმიეტი.

ყოველი მომსვლელი — სასურველი სტუმარი

მესხია. ამ დღეებში მშენებლებმა მთიანი სვანეთის კოოპერატორებს გადასცეს საზოგადოებრივი კვების რესპუბლიკაში უდიდესი სასოფლო კომპლექსის სიმბოლური გასაღები. სამსართულიანი შენობა, რომელიც ვადაზე ნახევარი წლით ადრე გადაეცა საექსპლოატაციოდ, ჰარმონიულად შეერწყა მესტიის რაიონული ცენტრის მთის პეიზაჟს.

რძის ბარის, დიეტური სასადილოს, კაფეს და რესტორანის მენიუში რძისა და ხაჯიმანდატო ნაწარმის, კვკასიური სამზარეულოს კერძების ფართო არჩევანია. კომპლექსში შედის კულინარიისა და ნაბეჭვარფაბრიკატების მაღაზიები, ნაყინისა და ლიმონათის მწარმოებელი ხაამქროები.

„სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის დადგენილებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის მასალების შესწავლისათვის.

სოფლის მეურნეობის აღმავლობა საყოველთაო-სახალხო საქმეა, საერთო საზრუნავი

ხემინარები და თეორიული კონფერენციები.

ქვემოთ პროპაგანდისტთა დახმარებლად ვაქვეყნებთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის მიერ შემუშავებული მეცადინეობის სანიმუშო გეგმას.

მეცადინეობის სანიმუშო გეგმა

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმი ისტორიული ეტაპია კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“ დიდი წვლილია პარტიის ლენინური აგრარული თეორიისა და პოლიტიკის შემოქმედებითს განვითარებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის მეცნიერულობა და ღრმა რეალიზმი.

2. პარტიის აგრარული პოლიტიკა მოქმედებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი შედეგები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ. სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, მექანიზაციის, მიწების ქიმიზაციისა და მელიორაციის ტემპის დაჩქარება. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის აღმავლობა. სოფლის სოციალური განვითარება. კადრების თვისებრივი ზრდა. სოფლის მეურნეობის როლი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის პარტიის გენერალური გეზის პრაქტიკულ განხორციელებაში.

3. სკკპ ლენინური სტრატეგია და ტაქტიკა სოფლის მეურნეობის დარგში განვითარებული სოციალიზმის დრო.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივი და დინამიკური განვითარების ამოცანები. სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება პარტიის პოლიტიკის ქვაკუთხედია. სოფლის მეურნეობაში კაპიტალური დაბანდების გადიდება და სოფლად მშენებლობის განვითარება. კომპლექსური მექანიზაციის, მიწათმოქმედებისთვის, მეცხოველეობისა და საკვებწარმოებისთვის საჭირო დიდმწარმოებლური ტექნიკით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის აღჭურვის ღონისძიებათა განხორციელება. ტექნიკის, მინერალური სასუქებისა და მელიორირებული მიწების გამოყენების გაუმჯობესების საარსებო ამოცანები. სოფლად აგროქიმიური სამსახურის მუშაობის სრულყოფა.

4. სურსათითა და სოფლის მეურნეობის ნედლეულით ქვეყნის საიმედო უზრუნველყოფა პარტიისა და სახელმწიფოს სტრატეგიული ამოცანაა.

მარცვლეულის წარმოება მუშაობის დამკვრელური უბანია. აგროტექნიკური ხერხების მთელი არსენალი, მთელი შესაძლებლობანი და რეზერვები მოვახმაროთ მარცვლეულის მაქსიმალური მოსავლის მიღებას, ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებას, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას. გადავიდეთ მეცხოველეობის გაძღოლის ინტენსიურ მეთოდებზე, გადავაქციოთ იგი თანამედროვე დიდად ეფექტიან დარგად. ხორცის წარმოების გადიდება უპირველესი ამოცანაა. თანამედროვე საკვებწარმოების, როგორც სპეციალიზებული დარგის შექმნა. ბერიულეულის, ჭარხლის, მზესუმზირას, ბამბის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოების განვითარების ღონისძიებათა განხორციელება.

5. ეკონომიკური ურთიერთობა სოფლის მეურნეობაში და აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებს შორის.

ეკონომიკური მექანიზმის — დაგეგმვისა და სტიმულირების შემდგომი სრულყოფის, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის ურთიერთკავშირის გაუმჯობესების გზები. „სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება დიადი ლენინური კოოპერაციული გეგმის იდეების ხორცშესხმა და შემდგომი განვითარებაა.

6. უოველნაირად გავაუმჯობესოთ სოფლად ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის სტილი და მეთოდები.

სოფლის კომუნისტები — დიდი, ბრძოლისუნარიანი არმია — საწარმოო და აღმშრდელობითი მუშაობის ორგანიზატორები არიან. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მტკიცე და გამიზნული საქმიანობა, მათი უნარი — აღაფრთოვანონ და დარაზმონ ადამიანები — პარტიის აგრარული პოლიტიკის თანამიმდევრული და ეფექტიანი განხორციელების გადამწყვეტი ფაქტორია.

უმთავრესი ყურადღება [illegible] ადამიანთა დასაცავლინა, გავზარდოთ კადრების პასუხისმგებლობა, გავაუმჯობესოთ შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ სოფლის მშრომელთა გაზრდილი კულტურული მოთხოვნილებანი. ახალი გაქანება მივანიჭოთ სოციალისტურ შეჯიბრებას სოფლად. მინდვრისა და ფერმების, დამამზადებელი, სავაჭრო, სატრანსპორტო ორგანიზაციებისა და გადამმუშავებელი საწარმოების მშრომელები ზუსტად და შეთანხმებულად უნდა მუშაობდნენ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობისათვის, თითოეული კილოგრამისა და პროდუქციის დაკისა და მომხმარებლამდე მიტანისათვის ბრძოლა თითოეული კომუნისტის, კომკავშირელის, თითოეული მშრომელის პატრიოტული მოვალეობაა.

7. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმი რესპუბლიკაში სკკპ აგრარული პოლიტიკის განხორციელების ახლანდელი ეტაპის ამოცანების შესახებ.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის პრაქტიკული საქმიანობის შედეგები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის თვალსაზრისით; რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების წარმატებანი და ნაკლოვანებანი; კონკრეტული გზები, რომლებიც პლენუმმა დასახა მისი შემდგომი აღმავლობისათვის.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილების საკითხებზე მეცადინეობანი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული თითოეული შრომითი კოლექტივის ამოცანებთან სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, 1978 წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში. პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა კომიტეტებმა, სამეურნეო ორგანოებმა, პოლიტიკური განათლების სახლებმა და კაბინეტებმა, ეკონომიკური განათლების საბჭოებმა მეცადინეობის დაწყებისათვის უნდა მოამზადონ საჭირო სახსოვნელ, ანალიზური და მეთოდიკური მასალები, გამართონ პროპაგანდისტთა სემინარები, გამოიყენონ მათ წინაშე ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერები, სპეციალისტები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 21 ივლისის ბრძანებულებით საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს სისტემაში ნაყოფიერი მუშაობისათვის, საგეგმო დავალებების და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის, მიენიჭათ საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდო:

საქართველოს სსრ ღამსახურებული ეკონომისტის:

ასკურავას თინათინ დავითის ასულს — აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო განყოფილების უფროსს;

ბოკუნოვას გალინა ალექსანდრეს ასულს — აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს პანსიონატ „სინოპის“ ეკონომისტს.

საქართველოს სსრ ღამსახურებული მეცხალტრის:

ზებედაშვილს თამარ ზებედის ასულს — ქ. ფოთის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მეცხალტრეს;

სალუქვაძეს ევტიხი ანტონის ძეს — ქ. თბილისის ვაჭრობის სამმართველოს 26 კომისარიატის რაიკომბაჭრობის მთავარ ბუხალტერს;

ციხისელს ანგელინა ვასილის ასულს — ქ. რუსთავის ვაჭრობის სამმართველოს მთავარ ბუხალტერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 21 ივლისის ბრძანებულებით საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის მიენიჭათ: საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის საპატიო ჯილდო:

ახანოშვილს თენგიზ კონსტანტინეს ძეს — რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ვაჭრობის სამმართველოს უფროსს;

პლიევა ელისაბედ დიმიტრის ასული — ქ. ცხინვალის ოოდების ატელიეს მკერავი;

პოგორებნაია ივანე ეგორის ძე — ქ. თბილისის ინტურისტის განყოფილების რესტორან-სასტუმრო „თბილისის“ ოფიციანტი;

როსტევანიანი ნუნუ ანუშავანის ასული — მარნეულის რაიონული სამომხმარებლო კავშირის შაუმიანის სამომხმარებლო საზოგადოების საგალანტერეო მაღაზიის უფროსი გამყიდველი;

საყვარელიძე ნინელი ალექსანდრეს ასული — მცხეთის რაიონული სამომხმარებლო კავშირის სამეურნეო საქონლის მაღაზიის გამყიდველი;

ფაცია კუჭუკი დომენტის ძე — აფხაზეთის სამომხმარებლო კავშირის ოჩამჩირის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების სოფელ ფოცხოს მაღაზიის გამგე;

ეურაშვილი ნადეჟდა კონსტანტინეს ასული — ცეკავშირის საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი ეკონომისტი;

ცხოვრებოვა ქსენია გიორგის ასული — ქ. ცხინვალის მაღაზია „ბავშვთა სამყაროს“ უფროსი გამყიდველი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 21 ივლისის ბრძანებულებით საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საგეგმო დავალებებისა და აღებული სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის მიენიჭათ: საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის საპატიო ჯილდო:

ახანოშვილს თენგიზ კონსტანტინეს ძეს — რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ვაჭრობის სამმართველოს უფროსს;

პლიევა ელისაბედ დიმიტრის ასული — ქ. ცხინვალის ოოდების ატელიეს მკერავი;

პოგორებნაია ივანე ეგორის ძე — ქ. თბილისის ინტურისტის განყოფილების რესტორან-სასტუმრო „თბილისის“ ოფიციანტი;

როსტევანიანი ნუნუ ანუშავანის ასული — მარნეულის რაიონული სამომხმარებლო კავშირის შაუმიანის სამომხმარებლო საზოგადოების საგალანტერეო მაღაზიის უფროსი გამყიდველი;

საყვარელიძე ნინელი ალექსანდრეს ასული — მცხეთის რაიონული სამომხმარებლო კავშირის სამეურნეო საქონლის მაღაზიის გამყიდველი;

ფაცია კუჭუკი დომენტის ძე — აფხაზეთის სამომხმარებლო კავშირის ოჩამჩირის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების სოფელ ფოცხოს მაღაზიის გამგე;

ეურაშვილი ნადეჟდა კონსტანტინეს ასული — ცეკავშირის საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი ეკონომისტი;

ცხოვრებოვა ქსენია გიორგის ასული — ქ. ცხინვალის მაღაზია „ბავშვთა სამყაროს“ უფროსი გამყიდველი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 21 ივლისის ბრძანებულებით საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის მიენიჭათ: საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების დამსახურებული მუშაკის საპატიო ჯილდო:

ბაბოიანს რემიკ სააკის ძეს — ახალციხის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სამკერვალო სახელოსნოს ბრიგადირს;

ბოხუას ივანე გედევანის ძეს — აბაშის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ბარიკმახერს;

ბოიაჯიანს პოოოს პეტროსის ძეს — ადიგენის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მკერავს;

დოკვაძეს ქეთევან მარკოზის ასულს — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კადრების და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილეს;

ვოსკანოვს ალექსი ბიბოს ძეს — ქ. ცხინვალის ფოტოატელიეს ფოტოგრაფს;

მითაიშვილს ქეთევან ნესტორის ასულს — ქ. ბათუმის ტანსაცმლის ინდკერძოს ფაბრიკის ინჟინერ-ტექნოლოგს;

რიბაჩეკს ალექსი თანასეს ძეს — ქ. თბილისის „საკრადიოტექნმომსახურების“ სამმართველოს რადიომექანიკოსს;

სესკურიას მიხეილ ესტატეს ძეს — ქ. ფოთის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსს;

ქორაძეს ლეონი გერასიმეს ასულს — მახარაძის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მკერავს;

ჩქარეულს გიორგი ივნეს ძეს — ყაზბეგის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მკერავს;

ცეინბახ დავით კონსტანტინეს ძეს — პროფკავშირთა აფხაზეთის კურორტების მართვის საოლქო საბჭოს ახალი ათონის დამხმარე მეურნეობის გამგეს;

ჭიჭიას აკაკი ივანეს ძეს — ქ. წყალტუბოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს პარიკმახერს.

ღიღმნიშვნელოვანი ღონისძიება

მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის წინ

როგორც ცნობილია, 1979 წლის იანვარში მოეწყობა მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა. ეს უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ღონისძიებაა. მის მასალებში ფართოდ აისახება ის ძირეული სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, რომლებიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხდება ქვეყნის სახალხო მეურნეობაში, ხალხის ცხოვრებაში. ეს იქნება ჩვენი ხალხის მიერ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოპოვებულ უდიდეს წარმატებათა ნათელი სარკინა.

სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების დაგეგმვისათვის აუცილებელია სრული ცნობები მოსახლეობაზე, ურბანიზაციაზე, ცხადია, სახელმწიფო ორგანოები ზუსტად ვერ გაითვალისწინებენ მის მზარდ მოთხოვნილებებს. ჩვენი სახალხო მეურნეობის გეგმიან განვითარებას სწორედ მოსახლეობის აღწერის მასალები ედება ერთ-ერთ საფუძვლად. ამასთან საკმარისი არ არის მოსახლეობის მხოლოდ საერთო რიცხვის ცოდნა, საჭიროა განისაზღვროს მისი რეგიონების მიხედვით განლაგება, ეიკოდეთ, რამდენია ჩვენს ქვეყანაში მამაკაცი და რამდენია ქალი, უნდა დავადგინოთ ასაკობრივი ჯგუფები, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის წილი, დავაზუსტოთ, რამდენი იდამიანი მუშაობს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, ვაჭრობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, რამდენია მათ შორის ინჟინერი, აგრონომი, ეკონომისტი, ექიმი, მასწავლებელი, მუშა, კოლმეურნე, მოსწავლე და ა. შ. უნდა დავადგინოთ, სად გვაყავს ჭარბი მუშახელი და სად გვაკლია.

მოსახლეობის ტერიტორიული პრინციპით შესწავლა განპირობებს ფაბრიკა-ქარხნების, სამკურნალო, სასწავლო, კულტურული, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების, სამავშვო დაწესებულებების, კლუბებისა და კინოდარბაზების. სპორტული ნაგებობების საჭიროებისამებრ განლაგებას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის რეგულირებას და სხვა.

სრულიად საკავშირო აღწერის შედეგად მივიღებთ მონაცემებს ფართო წრეს ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, ეროვნების, ენის, განათლების, სწავლის შესახებ. მივიღებთ განზოგადებულ ინფორმაციას მის განაწილებაზე არსებობის საშუალებათა წყაროს, სახალხო მეურნეობის დარგების, მოსაქმეობისა და საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით, დაზუსტდება მომდინარე აღრიცხვის მონაცემები მოსახლეობის რიცხვის, მისი ქალაქსა და სოფელს შორის განაწილების, ტერიტორიული განლაგების შესახებ და ა. შ.

მოსახლეობის მომავალი საკავშირო აღწერის პროგრამას საფუძვლად 1970 წლის აღწერის პროგრამა დაედო, ამასთან არის ცვლილებებიც. აღწერის პროგრამაში შეტანილია ახალი კითხვა დაბადებულ ბავშვთა რიცხვის შესახებ და მოცემულია ოჯახის გაშლილი ფორმულირება. ეს საშუალებას იძლევა განისაზღვროს შობადობის დონე და ქალთა ფერტილიანობის (ნაყოფიერების) მდგომარეობა, რომლის ასაკობრივ მაჩვენებლებთან დაკავშირებით შესწავლა მეტად საჭიროა მოსახლეობის გამრავლების მდგომარეობის შესწავლისათვის, მოსახლეობის რიცხვის პერსპექტიული განგარიშებისათვის.

დიდი თვისებრივი სიახლეა აღწერის მასალების დამუშავებაში. აღწერის დროს გამოიყენება საღწერო ფურცლის სრულიად ახალი სახეობის ფორმა, რომელიც ამავე დროს პირველადი ინფორმაციის ტექნიკური მატარებელია მისი ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაში შესაყვანად. აღწერის მასალების მექანიზებული დამუშავებისათვის მომზადება მოხდება მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებში. საღწერო ფურცლის ინფორმაციის გადატანა მაგნიტურ ფირზე განხორციელდება ოტიკურ გამომთვლელ მოწყობილობათა დახმარებით ჯგუფურ გამოთვლითს ცენტრებში. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია 29 ასეთი ცენტრი, მათ შორის თბილისშიც, სადაც დამუშავდება საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ მოსახლეობის აღწერის მასალები. დღეისათვის აღნიშნულ ცენტრში უკვე დამონტაჟებულია უახლესი ტიპის ელექტრონული გამომთვლელი მანქანები.

მოსახლეობის აღწერა ერთ-ერთი ყველაზე რთული და შრომატევადი სტატისტიკური სამუშაოა და ყოველმხრივ მომზადებას მოითხოვს. აღწერისათვის მზადება ჯერ კიდევ 1975 წელს დაიწყო.

მოსახლეობის საკავშირო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები ამჟამად გადამწყვეტ ფაზაშია. ქალაქებისა და რაიონების ტერიტორიაზე მოსახლეობის აღწერის სწორი ორგანიზაციისა და აღწერის სისრულის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი სტატისტიკური ორგანოები ადგენენ აღწერის მოწყობის საორგანიზაციო გეგმებს, რომელთა საფუძველზეც მოხდება რაიონებისა და ქალაქების ტერიტორიების დაყოფა საღწერო განყოფილებებად, საინსტრუქტორო და საღწერო უბნებად, გაიანგარიშება მოთხოვნილება საღწერო კადრებზე.

წინ ძალიან დიდი და მეტად პასუხსაგები სამუშაოებია შესასრულებელი. შერჩეული უნდა იქნას და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა პერსონალურად დაამტკიცონ საღწერო კადრები. საღწერო განყოფილებების, საინსტრუქტორო უბნების და აღწერის რაიონული (საქალაქო) შტაბებისათვის აღმასკომებმა უახლოეს პერიოდში უნდა გამოყონ სატელეფონო კავშირითა და ინვენტარით აღჭურვილი ვარგისი ბინები. აღწერის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში ადგილობრივი სტატისტიკური ორგანოები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ სატრანსპორტო საშუალებებით აღმასკომების მიერ დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით.

აღწერის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და თვით ამ ღონისძიების სირთულე შესაბამისი ინსტრუქციებისა და ფორმების შესწავლას მოითხოვს. ადგილობრივი სტატისტიკური ორგანოების მუშაკთა ინსტრუქტაჟი და ცოდნის შემოწმება მოხდება ჩვენთან, სამმართველოში, აღწერაში დასაქმებული სხვა მუშაკებისა კი — ადგილებზე.

აღწერაში დაახლოებით 18 ათასი კაცი მიიღებს მონაწილეობას. აღწერაში მონაწილე პირები აღწერის პერიოდში განთავისუფლდებიან ძირითადი სამუშაოდან ხელფასის შენარჩუნებით, დათვალსწინებულია აგრეთვე გარკვეული დამატებითი ანაზღაურება.

აღწერა ჩატარდება აღმწერების მიერ მთლიანი მოსახლეობის გამოკითხვისა და პასუხების ჩაწერით. **იგი დაიწყება 17 იანვრის დილის 8 საათზე ადგილობრივი დროით და გაგრძელდება 8 დღეს, 24 იანვრის ჩათვლით.** მოსახლეობის გამოთვლა მოხდება 16-17 იანვრის ღამის 12 საათის მდგომარეობით — მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ 17 იანვრიდან 24 იანვრამდე, როდესაც უნდა მოხდეს ფაქტიური აღწერა, მასალები შეივსება იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობა იყო 16-17 იანვრის ღამის 12 საათზე. მაგალითად, 17 იანვარს დილის 5 საათზე დაბადებული ბავშვი აღწერას არ ექვემდებარება.

ზოგიერთ ძნელად მისადგომ

„მერანი“ მკითხველს სთავაზობს

თანამედროვეობის სამსახურში

ბ ასოვიცემლობა „მერანის“ დანიშნულებაა მიაწოდოს მკითხველს ქართველ მწერალთა ნაწარმოებები, ქართულ ენაზე აქვეყნილნ სსრ კავშირის ხალხთა და საზღვარგარეთის ქვეყნების თანამედროვე მწერალთა წიგნებს, ოღონ რუსულ ენაზე — ქართულ კლასიკურ და თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას, აგრეთვე საქართველოში მცხოვრებ რუს მწერალთა ნაწარმოებებს, სომხურ ენაზე კი — საქართველოში მცხოვრებლ-სომეხი მწერლების წიგნებს.

გამომცემლობის სული და გული ქართული მხატვრული ლიტერატურის რედაქციაა, რომელიც თანამედროვე ქართველი მწერლების წიგნებს აწვდის მკითხველს. ჩვენი ვალია სრულად ეწარმოვიჩინოთ მიმდინარე ლიტერატურული პროცესი, მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები შემოვიკრიბოთ ირგვლივ მართალია, თაბახთა საერთო მოცულობის სიმცირე დიდად გვაშლის ხელს ქართული მწერლობის მრავალრიცხოვანი არმიის გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური უნდა გაკეთდეს.

ასევე დიდი და საპატიო მისია აკისრია თარგმნითი მხატვრული ლიტერატურის რედაქციას. მან უნდა გაამდიდროს ქართველი მკითხველის ბიბლიოთეკა სამეოთა კავშირის ხალხების ლიტერატურათა საუცხო ნიმუშებისა და მსოფლიო მწერლების შედევრების ღირსეული თარგმანებით.

„მერანის“ რუსულ გამოცემათა რედაქციამ რუსულ ენაზე საუბრობენ — საკავშირო კეთილეულს—უნდა მიაწოდოს კლასიკური ქართული ლიტერატურის და თანამედროვე ქართული მწერლობის შესანიშნავი ნიმუშები. შეთავაზებოს ირგვლივ თარგმნელთა საუკეთესო ძალები, რათა ქართველ მწერალთა რუსულ ენაზე თარგმნის დონე შეესაბამებოდეს ქართული მწერლობის პრესტიჟს.

ამ ამოცანების შესასრულებლად „მერანის“ გამოცდილი კოლექტივი ძალ-ღონეს არ დიზმენს.

ჩვენ გვაქვს საინტერესო წიგნი გამოვა. ქართული ენაზე მკითხველი მიიღებს ს. ჩიქოვანის თხზულებათა II და ი. მარცხულავას თხზულებათა III ტომებს, კ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებთა III და IV ტომებს, ა. გაწერელიას სამტომეულის II ტომს, ო. ჭელიძის პოეტურ ნაწარმოებთა ორტომეულს II ტომს, ლ. ავალიანის რჩეულ ნაწარმოებთა I წიგნს. გამოვა ა. ადამის ახალი რომანი „სიკვდილი ერთი დღით ადრე“, თ. ბიბილურის რომანი „ყმის კითხულია“, რ. ინანიშვილის ნოველები, ჯ. ქარჩხაძის, დ. ჯავახიშვილის და სხვათა ახალი წიგნები. წელსვე გამოვცემთ მ. გელოვანის, ჯ. ჩარკვიანის, მ ქვლივიძის, ა. გეწაძის, ლია ასათიანის, ფ. ოვარდავის და სხვათა პოეტურ კრებულებს. „მერანი“ წელს მკითხველს მიაწვდის ათი ახალგაზრდა მწერლის პირველ წიგნს. მომავალშიც მზად ვართ ყოველმხრივ დიდი დახმარება გავუწიოთ ახალგაზრდებს.

თარგმნითი ლიტერატურის რედაქცია მკითხველს სთავაზობს ესპილუს, მ. ჩიკობავას, თ. დრანიზერის, რ. ჟორენის, შ. პეტფის, ი. ივაშკევიჩის, გ. კანტის და სხვა ცნობილი მწერლების, ოსი და აფხაზი მწერლების — რ. ასაევის, კ. ლომაის, მოძმე რესპუბლიკების მწერლების — ს. ესენინის, ი. ბუნინის, ს. ბარუზდინის, პ. სევაკის, რ. აგაბაბოვის და სხვათა ნაწარმოებებს.

რუსულ ენაზე გამოვა ი. აბაშიძის, ვ. ამირეჯიბის, გ. გეგეშიძის, ვ. ჭელიძის, ო. იოსელიანის, ს. სტურუას, ვ. ალფენიძის წიგნები, გ. ტაბიძის, ლადო ასათიანის, კ. ნადირაძის, ი. ნონეშვილის პოეტური კრებულები და ა. შ.

რუსულ გამოცემათა რედაქციაში გვაქვს ერთი შესანიშნავი სერია — სერია თანამედროვე რუსული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელთა კრებულებისა რუსულ ენაზე, რომლებშიც შედის ამ პოეტთა ლექსები საქართველოზე და მათ მიერ თარგმნილი ქართველ პოეტთა ნაწარმოებები. მკითხველი ამ სერიიდან წელს მიიღებს ნ. ტიხონოვის ორტომეულს, ბ. ახმადულინას, ე. ევტუშენკოს, ა. ტარკოვსკის საინტერესო კრებულებს. ასეთ კრებულებს „მერანი“ კვლავაც სისტემატურად გამოსცემს.

საქართველოში მცხოვრები რუსი მწერლების წიგნებიდან გამოვა ა. ზუარაბოვის, ა. ციბულევსკის ნაწარმოებები, აგრეთვე კრებული „სახლი ჭადრებს ქვეშ“ და სხვ.

სომხურ გამოცემათა რედაქცია წელს მკითხველს მიაწვდის მ. კარამანინის მოთხრობების წიგნს, გ. ოლკინიანის, პ. თევოსიანისა და სხვათა ლექსების კრებულებს, სომეხ მწერალთა ახალი ნაწარმოებების ალმანახს „ხიდს“.

გარდა ამისა, გვიდგია მომავალში მკითხველს შევთავაზოთ რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი წიგნი, ანთოლოგია და სერიული გამოცემა.

ქართული მხატვრული ლიტერატურის რედაქცია ამზადებს ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგიას. ანთოლოგიამ სრულად უნდა წარმოაჩინოს ის დიდი გზა, რომელიც ჩვენმა ეროვნულმა პოეტურმა კულტურამ გამოიარა დასაბამიდან დღემდე.

პარალელურად ვამზადებთ ქართული ხალხური პოეზიის უნიკალური ძეგლების ანთოლოგიასაც, რომელშიც თვი უნდა მოუყაროს უკლებლივ ყველა მნიშვნელოვან ნაწარმოებს.

ორივე ანთოლოგია გამოიცემა მაღალხარისხოვან და პოლიგრაფიულ დონეზე. ქართველი კაცის ოჯახს უნდა ამშვენებდეს ისეთი ანთოლოგიები, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო გამოცემები ამშვენებს.

უკვე აღიარებული ფაქტია, რომ ქართული პუბლიცისტიკა საგრძნობლად გამოიცოცხლდა. მან უპასუხა დღეს ჩვენს წინაშე არსებულ მრავალ საჭირბოროტო ლიტერატურულ პრობლემას თუ მწვავე ცხოვრებისეულ საკითხს. ქართული პუბლიცისტიკის მეტი ქმედითობისათვის საჭიროდ მიგვაჩნია წელიწადში ერთხელ გამოვცეთ საუკეთესო პუბლიცისტური წერილების კრებული, რომელშიც უნდა გვიჩვენოს ქართული პუბლიცისტიკის დონეც.

განზრახული გვაქვს ასევე სისტემატურად გამოვცეთ წლის საუკეთესო ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების კრებულები, რომლებშიც ერთგვარი შემაჯამებელი სახით უნდა დაანახოს მკითხველს, ერთი მხრივ, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ღირსებანი და, ამავე დროს, ქართული წერილობის დღევანდელი დონე და არსებითი ტენდენციები.

მალე აღინიშნება „შუშანიკის წამება“ დაწერის 1500 წლისთავი. ამ დიდ თარიღთან დაკავშირებით გვინდა დავიწყოთ ქართული ლიტერატურის საუკეთესო ძეგლების გამოცემა.

ჩ ვენი მწერლობის საჭიროროტო საკითხია მსოფლიო ლიტერატურის აღიარებულ კლასიკოსთა ქართულ ენაზე თარგმნის პრობლემა. ჩვენ ფაქტიურად ცოტა გვაქვს მაღალ დონეზე თარგმნილი მსოფლიო მნიშვნელობის პოეტების ნაწარმოებები, სათარგმნი კი ბევრზე ბევრია. ამ საქმისათვის ხელშეწყობის მიზნით ვაარსებთ სერიას, რომელითაც გამოვცემთ მსოფლიო პოეზიის უდიდესი ლირიკოსების ნაწარმოებთა საუკეთო თარგმანებს.

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა დავუთმოთ საზღვარგარეთელი პროზის ოსტატების სისტემატურ თარგმნას. უფრო მეტს უნდა ვცემდეთ სოციალისტური ქვეყნების ლიტერატურის ნიმუშებს. ამ ხარვეზების ერთგვარად გამოსწორების მიზნით შევქმენით სერია „საზღვარგარეთული პროზის ოსტატები“. ამ სერიით გამოსაცემად მზადდება კრებული „თანამედროვე ჩეხური მოთხრობა“. ასევე უახლოეს წლებში მომზადდება და გამოვა თანამედროვე ინგლური, პოლონური და სხვა სოციალისტური ქვეყნების თანამედროვე მწერალთა მოთხრობების კრებულები.

სერიით „საბჭოთა პროზის ოსტატები“ წელს, რუსული ლიტერატურის დეკადის დღეებში, მკითხველს მივაწვდით რუსული მოთხრობების დიდ კრებულს. მასში შეკიდა გამორჩეული რუსი საბჭოთა პროზაიკოსების საუკეთესო ნაწარმოებები. გამომცემლობა ამზადებს აგრეთვე უკრაინული და ბელორუსული მოთხრობების კრებულებს. მომდევნო წლებში გამოვცემთ უკელა მოძმე რესპუბლიკის მწერალთა მსგავს კრებულებს.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის, კერძოდ, ახალგაზრდა მწერლების შემოქმედების თარგმნა განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა გახდეს. დიდი დაკვირვება გვმართებს სათარგმნი მასალის შერჩევისა და საგულდაგულო თარგმნის საქმეში. გვინდა გამოვცეთ რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, საერთოდ ყველა მოძმე რესპუბლიკის ახალგაზრდა პოეტების კრებულების სერია.

აქვე გვინდა მკითხველ საზოგადოებას ვაცუმხლოთო ერთი სურვილიც: საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისათვის, როგორც ვიცით, მთავრობამ საგანგები დადგენილება მიიღო. გადავწყვეტეთ ჩვენი მხრივ შეფობა გავუწიოთ რამდენიმე კულტურულ ძეგლს. საამისოდ გვინდა გამოვცეთ პუტების, პროზაიკოსებისა და კრიტიკოსების თემატურად ამ დიდ პრობლემასთან დაკავშირებულ ნაწარმოებთა მოზრდილი კრებულები და მთელი ჰონორარი გადავიტანოთ ძეგლთა დაცვის საზოგადოებას.

ბ ევრჯერ გამოვყოთ კიდევ ერთი ჩანაფიქრი. მწერალთა კავშირის შუამდგომლობითა და აქტიური მხარდაჭერით ყოველწლიურად პოეზიის დღეებში მკითხველს მივაწვდიდთ კრებულს „პოეზიის დღე“. რომელშიც შევიტანთ წლის განმავლობაში შექმნილ საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებებს და წერილებს პოეზიაზე.

როგორც აღვნიშნეთ, „მერანის“ რუსულ გამოცემათა რედაქციას დიდი და საპატიო მისია აკისრია. ქართული მწერლობის საუკეთესო მონაპოვრების შესაფერისად თარგმნაზე ბევრად არის დამოკიდებული ქართული მწერლობის პრესტიჟი. ამიტომ მუდამ საგანგებო ყურადღებას დავუთმობთ ამ პრობლემის გადაწყვეტას.

ამასთან, უნდა აღინიშნოს რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოცემა, რომლებსაც „მერანის“ რუსულ გამოცემათა რედაქცია ამზადებს. პირველ ყოვლისა, აქ უნდა ითქვას ახალ სერიებზე, რომელებითაც გამოვა ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებები და გამოჩენილ ქართველ ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნები.

კვლავაც განვაგრძობთ იმ შესანიშნავ ტრადიციას, რომლის წყალობითაც მკითხველმა მიიღო საქართველოსთან თავვანთი ცხოვრებითა და შემოქმედებით სისტემურად დაკავშირებული დიდი რუსი მწერლების რამდენიმე წიგნი. ამ წიგნებით მკითხველს უადვილდება სრული წარმოდგენა იქონიოს, თუ როგორ უყურებდნენ ან როგორ ასახავდნენ საქართველოს დიდი რუსი მწერლები — პუშკინი, ლერმონტოვი, გრიბოედოვი და სხვები. ამ სერიიდან ნაბეჭდ გამოვა კრებული „პოეტური მხარე“, რომელიც დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატის ნ. გ. ჩერნიშევსკის ქართულ საზოგადოებრიობასთან ურთიერთობას ასახავს და მწერლის დაბადების 150 წლისთავს ეძღვნება.

და კიდევ ერთი. მრავალი წერილი, ნარკვევი თუ სტატია მიუძღვნეს სხვადასხვა დროს ქართული მწერლობის თვალსაჩინო ნაწარმოებებს თუ ცალკეულ მწერალთა შემოქმედებას საქვეყნოდ აღიარებულმა რუსული ლიტერატურის წარმომადგენლებმა. ჩვენი აზრით, ქართული მწერლობის პოპულარიზაციას დიდად შეუწყობს ხელს, თუ ერთ კრებულში გავაერთიანებთ რუსი მწერლების ამ მოსაზრებებსა და წერილებს.

ასეთია ძირითადად ჩვენი გეგმები. მომავალი, ალბათ, კიდევ მრავალ საინტერესო იდეას ვვიკარნახებს ცხოვრება. „მერანის“ კოლექტივი ენერგიას არ დაზოგავს, რათა ქართველი მკითხველის ბიბლიოთეკა უფრო გამდიდრდეს და გამრავალფეროვნდეს.

ლ. ხუნდაძე,

გამომცემლობა „მერანის“ დირექტორი.

ქართული კულტურის ეროვნებაზე



საბედნიეროდ საქართველოს ბრავალი უცხოელი მეგობარი ჰყავდა. და ჰყავს, რომლებიც ყოველთვის საქმით გვიმტკიცებდნენ სიყვარულსა და პატივისცემას. ამ ადამიანებში გამორჩეული ადგილი უჭირავს დიდ უნგრელ ეროვნულ მხატვარს მიჰაი ზიჩის. მისი ღვაწლი, მართლაც, განსაკუთრებულია ქართული კულტურისათვის.

ახლახან გამომცემლობა „ხელოვნებამ“ მკითხველებს მიაწოდა **გურამ შარაძის** საყურადღებო ნაშრომი **„მიჰაი ზიჩი და ქართული კულტურა“**, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერის მიერ წლების მანძილზე გაწეული მუშაობის ნაყოფია.

საყოველთაოდ ცნობილია მიჰაი ზიჩის მიერ დასურათხატებული ჩვენი „ვეფხისტყაოსანი“. ზიჩისეული ილუსტრაციები დღემდე ინარჩუნებს განუმეორებელი ნიმუშის, მნიშვნელობას. დიდ უნგრელ მხატვარს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ბევრ ქართველ საზოგადო მოღვაწესთან. ეს მეგობრობა ქართველი და უნგრელი ხალხების ისტორიის გაუხუნარი ფურცლებია.

გ. შარაძე ძალზე საინტერესო მასალათა. მოშველიებით ხელშესახებად გვიხატავს მიჰაი ზიჩის ცხოვრებასა და შემოქმედებას, მხატვრის თბილისში ჩამოსვლისა და „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე მუშაობის პერიოდს.

წიგნში უხვად არის ჩანართი ფოტოები, „ვეფხისტყაოსნისა“ და მ. ლერმონტოვის „დემონის“ ილუსტრაციები, ესკიზები.

შორშან, შემოდგომაზე, შესრულდა 150 წელი მიჰაი ზიჩის დაბადებიდან. ახალგაზრდა მეცნიერს ეს ნაშრომი სწორედ ამ საიუბილეო თარიღისათვის მიუძღვნია. წიგნის რედაქტორია ა. ბარამიძე.

* * *

სურათზე: მიჰაი ზიჩის მიერ შესრულებული ერთ-ერთი ნახატი.

საერთაშორისო ცხოვრება

ეროვნული საკრებულო

ქვეყანა

ქვეყანა

ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანა ქვეყანა ქვეყანა

პოლონეთის ხალხები — კოსმოსის გმირებს

ვარშავა, 21 ივლისი. (საკადრო). დღეს ხალხური პოლონეთი გულთბილად და გულითადად შეხვდა კოსმოსის გმირებს — „სოიუზ-30“ ხომალდის მეთაურს ავიაციის გენერალ-მაიორს პ. ი. კლიმუკს, პოლონეთის ხალხური რესპუბლიკის მკვლევარ კოსმონავტს პოდპოლკოვნიკ მ. გერმაშევსკის, პოლონეთის ხალხური რესპუბლიკის მკვლევარ კოსმონავტს პოლკოვნიკ ზ. იანკოვსკის და საბჭოთა კოსმონავტების მზადების ხელმძღვანელს ავიაციის გენერალ-ლეიტენანტს ვ. ა. შატალოვს.

პოლონეთის ხალხური რესპუბლიკის სეიმის სვეტებიან დარბაზში გაიმართა საერთაშორისო კოსმოსური ეკიპაჟის წევრებისათვის პოლონეთის ჯილდოების საზეიმო გადაცემა. „სალუტ-6“ — „სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსით ფრენის წარმატებით განხორციელებისათვის და ამ დროს გამოჩენილი გმირობისა და ვაჟკაცობისათვის პირველი ხარისხის „გრუნვალდის ძვლის“ ორდენი გადაეცათ საბჭოთა კოსმონავტს პ. ი. კლიმუკს და პოლონელ მკვლევარ კოსმონავტს მ. გერმაშევსკის, პოლონეთის აღორძინების ორდენის კომანდორის ჯვარი — პოლონელ მკვლევარ კოსმონავტს პოლკოვნიკს ზ. იანკოვსკის.

შემდეგ გაიმართა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სხდომა, რომელიც მიეძღვნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი მოქალაქის გაფრენას კოსმოსში. მ. გერმაშევსკემ სეიმის დეპუტატებს მოახსენა, რომ წარმატებით შეასრულა დავალება საერთაშორისო კოსმოსური ეკიპაჟის შემადგენლობაში.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. გერეკამ. 21 წლის წინ, თქვა მან პირველი თანამგზავრის სიგნალმა მსოფლიოს აუწყა, რომ საბჭოთა ყავშირმა კოსმოსის ათვისების ერა დაიწყო. არ გასულა ოთხი წელი, და დედამიწისირგვლივ ორბიტაზე გამოჩნდა პირველი ადამიანი, საბჭოეთის მოქალაქე იური გაგარინი. უკვე ორ ათწლეულია კოსმოსური კვლევა თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდა. „ინტერკოსმოსის“ პროგრამის ფარგლებში საბჭოთა მეცნიერებთან მჭიდრო თანამოქმედებით პოლონელმა მეცნიერებმა სეროიზულ წარმატებებს მიაღწიეს კოსმოსურ კვლევაში.

ჩვენი მიზნები და გეგმები, განაცხადა ე. გერეკამ, შეგვიძლია წარმატებით და ეფექტიანად შეასრულოთო მხოლოდ მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად. ეს ჩვენი ისტორიის მთელი გამოცდილების ძირითადი დასკვნა და ამასთანავე დროის მოთხოვნაა. ეს არის პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის პოლიტიკისა და პოლონეთის სახელმწიფოს პოლიტიკის ურყევი პრინციპი. ჩვენ სწორ გზას ვადგავართ. ჩვენი ძლიერების მთავარი საწინდარი, ჩვენი ერთობლივი მოქმედების წარმატების გარანტია ხალხის ერთობა.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმმა ერთხმად მოიწონა დადგენილება, რომელშიც დეპუტატები ღრმა კმაყოფილებით მიესალმებიან ორბიტულ სამეცნიერო-საკვლევ კომპლექსში საბჭოთა კავშირ-პოლონეთის კოსმოსური ფრენის წარმატებულ განხორციელებას. მთელ პოლონელ ხალხს ეს ისტორიული მოვლენა მიაჩნია იმ გარდაქმნების ღირსშესანიშნავ გამოხატულებად, რომლებიც პოლონელი ხალხისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში მოხდა სოციალიზმის პირობებში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით, ნათქვამია დადგენილებაში.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. გერეკამ მიიღო საბჭოთა და პოლონელი კოსმონავტები; რომლებმაც გაუზიარეს შთაბეჭდილებანი ფრენისა და მოწყობილი მეცნიერული ექსპერიმენტების შესახებ.

კოსმონავტებმა გვიარგვინებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი და საბჭოთა მეომრების საფლავო-მავზოლეუმი ვარშავაში.

კარიკატურისტის კომენტარი

ამერიკის კონგრესში მოიწონეს კანონპროექტი შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტროსათვის 4,5 მილიარდი დოლარის გამოყოფის შესახებ. როგორც ადრე იუწყებოდნენ, კანონპროექტის ერთ-ერთ მუხლში „მიჩქმალულია“ ნეიტრონული ბომბის წარმოებისათვის განკუთვნილი თანხა.

სხვის გუდეში.

გ. ლომიძის ნახატი.

იაპონიის მინისტრი ჩინეთის შესახებ

ნიუ-იორკი, (საკადრო). „ჩინეთი ახლა მხოლოდ იმიტომ ლაპარაკობს საბჭოთა ჰეგემონიის შესახებ, რომ რუსეთი ძლიერია, ჩინეთი კი სუსტი. მაგრამ, როცა ჩინეთი გაძლიერდება, ხომ არ ჩაიდენს იგი ჰეგემონიისადმი მისწრაფებით ნაკარნახევ აქციებს იმათ წინააღმდეგ, ვინც მასზე სუსტია? ეს არის მთავარი საკითხი, რომელიც უნდა განვიხილო ჩინელებთან“ — განაცხადა ბატონ „კრისჩენ საიეს მონიტორისათვის“ მიცემულ ინტერვიუში იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. სონოდამ. „როცა ვხედავ, თუ რა პოზიცია უკავია ჩინეთს კამბუჩიისა და ვიეტნამის კონფლიქტის მიმართ, არ შემიძლია არ შევეკითხო ჩინელებს მათი ნამდვილი ზრახვების შესახებ“, — თქვა მან.

ს. სონოდა შეეხო ჩინეთის მოთხოვნებს, იაპონია-ჩინეთის ხელშეკრულების იმჟამად განსახილველად წარმოდგენილ პროექტში შეიტანონ მუხლი „ჰეგემონიის წინააღმდეგ ერთობლივი გამოსვლის შესახებ“, რომელიც, როგორც პეკინის ლიდერები აცხადებენ მიმართულია საბჭოთა კავშირის, აგრეთვე ვიეტნამის წინააღმდეგ. ს. სონოდამ თქვა: „სანამ ვილაპარაკებდეთ ჰეგემონიისადმი სხვების მისწრაფებაზე, პირველ რიგში ეს კითხვა საკუთარ თავს უნდა დავუსვათ. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ხაზი გაუსვა იაპონიის მინისტრმა, „წინასწარ ამ ქვეყნისათვის ჰეგემონისტურის წოდება და მის წინააღმდეგ მტრული აქციების განხორციელება ჩინეთთან თანამშრომლობით, — ეს არის გზა, რომელსაც კატეგორიულად უნდა ავარიდოთ თავი“.

დასასრულ იაპონიის მინისტრმა თქვა: ეროვნული უშიშროების საკითხში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანამშრომლებთან ზ. ბეჭინსკისთან ტოკიოში საუბრის დროს, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის მაისში პეკინში მისი ვიზიტის შემდეგ, ამ უკანასკნელს განეუცხადე, „საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კონფლიქტიდან დიპლომატიური უპირატესობის მიღება ეს არის ავანტიურა, რომელიც უდიდეს რისკთანაა დაკავშირებული“.

ARSEGOBA შეწყვიტეს

ბრიუსელი. (საკადრო). არსებობა შეწყვიტეს საგამომცემლო საზოგადოება „ს. მ. ონტვიკელინგმა“ და ტამბა „ექსელსიორმა“, რომლებიც გამოსცემდნენ ფლანდრიაში სოციალისტთა დიდ გაზეთს „ფოლსკაზეტსა“ და ბელგიის შრომის საყოველთაო ფედერაციის ორგანოს — ყოველკვირეულ „დე ვერკერს“.

ამის შედეგად 310 მუშამ გასამრჯელო დაკარგა. ეს გაკოტრება ერთ-ერთი ყველაზე დიდია 2 ათასზე მეტ მსგავლ კომპანიასა და საწარმოს შორის, რომლებმაც ორსებობა შეწყვიტეს პირველ 6 თვეში.

უცხადეგენ სოლიდარობას

ვაშინგტონი, 21 ივლისი. (საკადრო). ამერიკელ კონგრესმენთა ჯგუფმა მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების მკვიდრ მცხოვრებთა ბრძოლას მათი ელემენტარული ადამიანური და მოქალაქეობრივი უფლებების ფეხქვეშ გათელვის წინააღმდეგ.

არ შეიძლება აღშფოთება არ გამოიწვიოს იმ ფაქტმა, აღნიშნულია ამ ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში, რომ დღეს, 1978 წელს, ამერიკის მკვიდრნი იძულებულნი არიან მთავრობას მიმართონ მოთხოვნით ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის შესახებ. კონგრესმენებმა აღნიშნეს, რომ ისინი ჭამოვლენ შეერთებული შტატების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს განსახილველად შეტანილი რასისტული კანონპროექტების წინააღმდეგ, რომლებიც მთლიანად წაართმევენ ინდიელებს ოდითგანვე მათი კუთვნილი მიწათ სარგებლობისა და საკუთარი კულტურის განვითარების უფლებებს. ეს კანონპროექტები, აღნიშნულია დოკუმენტში, მიზნად ისახავენ ინდიელთა მოსახლეობის ეროვნული თვითსაგაღობის სახელოო მოსპობას.

ამერიკელი ინდიელებს მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ვ. ბელიკერტმა აღნიშნა, რომ თეთრ სახლს ურჩევნია არ შეამჩნიოს, რა უხვად და სასტიკად ითელება ამერიკის შეერთებულ შტატებში ადამიანის უფლებები.

საბჭოთა დელეგაცია კუბაში ჩავიდა

ჰავანა, 22 ივლისი. (საკადრო). კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მოწვევით ჰავანაში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. მაშეროვი. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ზეიმში, რომელიც ეძღვნება ეროვნული ამბოხების დღეს — ფიდელ კასტროს მეთაურობით რევოლუციონერთა ჯგუფის მიერ მონკადის ყაზარმის გმირული იერიშის 25 წლისთავს.

„ხოსე მარტის“ საერთაშორისო აეროპორტში საბჭოთა დელეგაციას დახვდნენ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, სახელმწიფო საბჭოს და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე რაულ კასტრო, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კუბა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციის თავმჯდომარე სოილო მარინელლო, კუბის ელჩი სსრ კავშირში სეფერო აგირე დელ კრისტო და სხვა ოფიციალური პირნი.

ჯ. კარტერის პრესკონფერენცია

ვაშინგტონი, 21 ივლისი. (საკადრო). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უკანასკნელ ხანს მოიმოქმედა მთელი რიგი აქტები, რასაც საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუარესება მოჰყვა. ეს-ეს არის, ვაშინგტონში გამოაცხადეს ადმინისტრაციის გადაწყვეტილება ახალი დისკრიმინაციული შეზღუდვები დაუწესოს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობას. არ წყდება სსრ კავშირის საშინაო საქმეებში ჩარევის ცდები ადამიანის უფლებათა „დაცვის“ პირფერული საბაბით.

ეს კურსი სეროიზულ შეშფოთებას იწვევს ამერიკის საზოგადოებრიობაში, რომლის დიდი ეშმაკლესობაც, როგორც ამის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოწმობს, მხარს უჭერს დაძაბულობის შენელების პოლიტიკას, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარებას.

ეს განწყობილება გამოიხატა პრესკონფერენციაზეც, რომელიც გაუშინ გამართა პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა. პრეზიდენტს ბევრი კითხვა მისცეს საბჭოთა კავშირის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ. მაგრამ მისი პასუხები არათანამიმდევრული და ორეროფული იყო.

კარტერმა კარგად იცის, რომ თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწენი, საქმიანი წრეები და ბეჭდვითი სიტყვის ზოგიერთი ავტორიტეტული ორგანო დაუფარავად აკრიტიკებენ ადმინისტრაციის „მკაცრ კურსს“, და ამიტომ ამტკიცებდა, „მე სულ არ ვაპირებ საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში ჩავერიოო“. „მე მინდა, — არწმუნებდა კორესპონდენტებს პრეზიდენტი, — რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა გაგვიუმჯობესდესო“.

„ჩვენ, — თქვა მან, — სსრ კავშირთან განვაგრძობთ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პრობლემისა და სხვა საკითხების განხილვას, გვინდა აგრეთვე გავაფართოოთ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობა“.

მაგრამ მთელი ეს კეთილი სურვილები ჯ. კარტერმა გაეაბარწყლა თავისი პასუხით იმ კონკრეტულ კითხვებზე, თუ „როგორია პრეზიდენტის პოზიცია საბჭოთა კავშირისათვის ნავთობის მოწყობილობის მიყიდვის საკითხში“.

**„ჩვენ, — განაცხადა მან, — ამ მცირე ხნის მანძილზე კი ო

მთელ ხუთ თვეს თავის თავისუფალი იყო მკურნალობის კურსის გავლის აუცილებლობის სამაბით.**

სხვა მთავარი მონაწილენი „უოტერგეიტის სკანდალის“, რომელმაც ძირფესვიანად შეარყია ამერიკელთა რწმენა მათი პოლიტიკური სისტემისადმი, უკვე თავისუფალი არიან, მათ შორის პრეზიდენტ რ. ნიქსონის ყოფილი თანაშემწეები რ. ჰოლდემანი და ჯ. ეარლიხმანი.

ციხიდან ათავისუფლეგენ

ვაშინგტონი, 21 ივლისი. (საკადრო). ამერიკის ხელისუფლებმა გადაწყვიტეს ციხიდან ვადამდე გაათავისუფლონ „უოტერგეიტის სკანდალის“ ერთ-ერთი მთავარი მონაწილე, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის ყოფილი მინისტრი ჯ. მიტჩელი. მას ციხიდან გამოუშვებენ 1979 წლის იანვარში. ამგვარად, მიტჩელი სასტატმრობაში ნომინალურად გაატარებს 19 თვეს, თუმცა სასამართლოს განაჩენის თანახმად თხი წელი უნდა მჯდარიყო. მაგრამ

მჯკიცე პროჯესჯი

ნიუ-იორკი, 21 ივლისი. (საკადრო). იმის გამო, რომ უკანასკნელ ხანს გაზშირდა მტრული და პროვოკაციული აქციები საბჭოთა დაწესებულებების წინააღმდეგ, სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნოტა გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივ წარმომადგენლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ამ ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კ. ვალდჰაიმს.

1978 წლის 10 ივლისს „ინტურისტის“ წარმომადგენლობის შენობაში ბომბი აფეთქდა, ნათქვამია ნოტაში, და მხოლოდ შემთხვევით მოხდა, რომ მსხვერპლი არ ყოფილა. ამერიკის ხელისუფლებმა უნდა იცოდნენ ამ დანაშაულებრივი ტერორისტული აქტის შემსრულებლები, რომლებიც ამას არც კი მალავენ. როგორც ამერიკის პრესა წერდა, ეგრეთ წოდებულმა „ებრაელთა შეიარაღებული წინააღმდეგობამ“ ჯგუფმა. აღიარა, რომ იგი კისრულობს პასუხისმგებლობას „ინტურისტის“ შენობაში ბომბის აფეთქების გამო.

ამის შემდეგ სსრ კავშირის წარმომადგენლობის შენობასთან რამდენიმე დღის მანძილზე ეწყობოდა მტრული თავყრილობები, რომელთა მონაწილენი თავიანთი მოქმედებით აბრკოლებდნენ წარმომადგენლობის ნორმალურ მუშაობას, ძალადობით ემუქრებოდნენ საბჭოთა მოქალაქეებს, მოუწოდებდნენ საბჭოთა ადამიანებისათვის ფიზიკური გასწორების შესახებ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის წარმომადგენლობაში ხშირად რეკავდნენ ტელეფონით უცნობი პირნი, რომლებიც მოკვლათ ემუქრებოდნენ წარმომადგენლობისა და ნიუ-იორკში მოქმედი სხვა საბჭოთა დაწესებულებების ხელმძღვანელ მუშაკებს.

**ასეთ აღმაშფოთებელ მოქმედებას, ნათქვამია ნოტაში, ნებისმიერ საზოგადოება

საჩუქარი საიუბილეოდ

„ვ. ი. ლენინი სანადიროდ“

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა საქართველოს მონადირეთა და მეგადურთა კავშირში, უთუოდ ეხსომება ეს სურათი — ს. მაისაშვილის ფერწერული ტილო „ვ. ი. ლენინი სანადიროდ“. იგი დიდხანს ეკიდა პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

ამას წინათ ეს სურათი 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით „მონაკაშირის“ პრეზიდიუმმა საჩუქრად გადასცა ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს, და ამიერიდან იგი მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზს დაამშვენებს.

ფ-ართოვდეგა
მეცნიერული კონტაქტები

ქართველებმა გული გადამიშალეს

ბილბაოს უნივერსიტეტის პროფესორი შაბიერ კინტანა თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს

წლეულს ივლისში შესრულდა ერთი წელი მას შემდეგ, რაც ბასკური ენის აკადემიის მოწვევით ჩვენს ქვეყანაში იმყოფებოდა ქართველ მეცნიერთა პირველი დელეგაცია შოთა ძიძიგურისა და ილია ტაბაღუას შემადგენლობით. ბასკეთში მათი ჩამოსვლის მიზანი იყო ბასკ მეცნიერებთან კონტაქტის დამყარება. ბილბაოში ისინი შეხვდნენ ბასკური ენის აკადემიის წევრებს, აკადემიის პრეზიდენტს ლუის ვილიასანტეს და ჰქონდათ მათთან საუბარი. ამ საუბარს მეც ვესწრებოდი.

აკადემიის პრეზიდენტი ლუის ვილიასანტე დადებითად შეხვდა წინადადებას ქართველ და ბასკ მეცნიერებს შორის კონტაქტის დამყარებისა და მეცნიერ-სპეციალისტთა ერთმანეთთან ვიზიტების შესახებ. ეს წინადადება შემდგომში აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე იყო განხილული და მოწონებული. ქართველი მეცნიერების შეხვედრებს და საუბრებს გარკვეული შედეგებიც მოჰყვა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მოწვევით თითქმის უკვე ორი თვეა, რაც საქართველოში ვარ, ქართველი მეგობრების საშუალებით ვეუფლები ქართულ ენას და ბასკურად ვთარგმნი შოთა რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“.

ქართული ენისა და კულტურისადმი ინტერესი დიდი ხანია ალმეძრა, მის შესახებ წიგნები პირველად მივიღე პარიზში, როდესაც იქ გავიცანი ქართველოლოგი პროფესორი კალ. სალია. შემდეგ ბილბაოში ჩამოვიდა პოლონელი ქართველოლოგ-ბასკოლოგი პროფესორი იან ბრაუნი, რომელისგანაც შევიტყე, რომ თბილისის უნივერსიტეტში უკვე დაუწყიათ ბასკური ენისა და ბასკების ისტორიის შესწავლა.

ი. ბრაუნის მეშვეობით დავამყარე კავშირი ბასკური ენის მასწავლებელ გრ. ჩანტლაძესთან, რომელმაც დიდძალი ლიტერატურა გამომიგზავნა ქართული ენისა და საქართველოს შესახებ.

საქართველოში ჩამოსვლამდე უკვე ვიცნობდი ფრანგი პროფესორის რ. ლაფონის ნაშრომებს, მაგრამ ყოველივე ეს არ სცილდებოდა ქართული ენის გრამატიკის საკითხებს. მე კი მაინტერესებდა ცოცხალი ქართული ენა. ამისათვის აუცილებელი იყო საქართველოში ჩამოსვლა.

მას შემდეგ, რაც წავიკითხე „ვეფხისტყაოსნის“ ხერგი წულაძისეული ფრანგული თარგმანი, კიდევ უფრო გაზრდა ინტერესი ქართული ენის, ისტორიისა და კულტურისადმი. გადავწყვიტე მეთარგმნა ეს დიდებული პოემა ბასკურ ენაზე. უკვე შევუდექი ამ რთული და შეტად სახიფათო საქმის შესრულებას.

თავის მხრივ ბასკური ენის აკადემიამ უკვე გამოუგზავნა მოწვევა ორ ბასკოლოგს — გრეტა ჩანტლაძეს და იური ზიცარს. მათი სტატიები უკვე დაიბეჭდა ჩვენთან — ბასკეთში.

ჩვენ გვინდა უფრო ფართო სამეცნიერო და კულტურული კავშირები დამყარდეს ორ ხალხს შორის. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს ო. თაქთაქიშვილს გადავეცი ბასკეთის კულტურის მინისტრის (რომლის მრჩეველიც მე გახლავართ) მეგობრული წერილი. ასეთივე შინაარსის წერილი ბილბაოს უნივერსიტეტის რექტორისა გადავეცი თბილისის უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ დ. ჩხეიძეშვილს.

საქართველოში ყოფნით მეტად კმაყოფილი ვარ. ჩემი მუშაობა ძალიან კარგად მიდის. დიდი მადლობა მინდა მოვახსენო პატივცემულ მეცნიერს შ. ძიძიგურს, რომელმაც ითავა ჩემი მოწვევა საქართველოში. ადამიანი, რომლის ყურადღებას ვგრძნობ ბილბაოში მისი გაცნობის დღიდან და რომელიც ასე მგონია, რომ მუდამ ჩემს გვერდით არის — ეს ი. ტაბაღუა გახლავთ.

ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა ალ. ბარამიეიმ ყველა პირობა შემიქმნა ინსტიტუტში ნაყოფიერი მუშაობისათვის. ინსტიტუტის თანამშრომლები ნესტან იორდანაშვილი, დარეჯან დანელია და რევაზ მირიანაშვილი ძალიან ხალისიანად ეხმარებიან ხალაპარაკო ქართული ენის ათვისებაში. პროფესორი ხერგი სერებრიაკოვი კოხსულტაციებს მიწევს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაგებაში. გრ. ჩანტლაძისა და ი. ზიცარის საშუალებით ვერკვევი ქართული გრამატიკისა და ლექსიკის საკითხებში. ჩვენ ერთად ვეძებთ ქართულ-ბასკურ პარალელებს. ჩემი აქ ყოფნის პერიოდში, ყოველ შაბათს ვკითხულობდი ლექციებს ბასკურ ენაში თბილისის უნივერსიტეტში ბასკური ენის შემსწავლელ ჯგუფთან. უნივერსიტეტში წავიკითხე საჯარო ლექცია: „ბასკური ენის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ“.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორმა რევაზ ჩხეიძემ საშუალება მომცა მენახა ქართული მხატვრული და დოკუმენტური ფილმები. ამავე სტუდიის თანამშრომელი, ესპანური ენის ჩინებული მცოდნე თამარ ბერიაშვილი მეხმარებოდა სასაუბრო ქართული ენის სახელმძღვანელოს შექმნაში.

დავათვალიერე თბილისისა და საერთოდ საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, შევხვდი ცნობილ ქართველ მეცნიერებს და მჭონდა მათთან საუბარი, ვიმოგზაურე საქართველოს სხვადასხვა რაიონში. (ყვარელი, სიღნაღი, თელავი, ბორჯომი, ფოთი, ქუთაისი, ვანი, მცხეთა...). სადაც კი ვიყავი, ყველგან ვგრძნობდი ქართველი ხალხის უდიდეს სითბოს და სიყვარულს ჩემი მშობლიური ბასკი ხალხისადმი. თქვენმა ხალხმა თავისი დიდი და კეთილი გული გადამიშალა.

ყოველივე ამას მე მინდა ვუპასუხო „ვეფხისტყაოსნის“ კარგი თარგმანით, ხოლო ჩემი ბასკი კოლეგები შეეცდებიან ასევე კარგი ილუსტრაციები გააკეთონ მოსთვის. ზოგიერთმა ჩვენმა მხატვარმა გადმომცა საქართველოს მუზეუმისათვის თავისი ნამუშევრები. კერძოდ, ჩამოვიტანე ახალგაზრდა ბასკი მხატვრის — ანტონ ჩაკონის ნამუშევარი.

ახლა, როდესაც ახლოვდება გამგზავრების დრო, შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში ყოფნა ძალიან ნაყოფიერი იყო ჩემთვის. ამასთანავე გამეფანტა ყოველგვარი პესიმიზმი, რომელიც მჭონდა ბასკურ-კავკასიური და ბასკურ-ქართული ურთიერთობის მიმართ. ახლა ეს შესაძლებლად მეჩვენება, მაგრამ საჭიროა ხანგრძლივი მუშაობა როგორც მორფოლოგიაში, ისე ფონეტიკაში. დიდი სამუშაო აქვთ ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ეთნოგრაფებს, მუსიკოსებს, ანთროპოლოგებს...

საინტერესოდ მეჩვენება ამ დარგში მოუვარულთა მუშაობა, თუ ისინი მეცნიერებთან ერთად იმუშავებენ (ჩვენში ეს ასეა), შედეგებიც კარგი იქნება.

და ბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ კავკასიის მთებში, რომელიც ასე ჰგავს ჩვენს პირენეის მთებს, ცხოვრობს შესანიშნავი ხალხი—ქართველი ხალხი. მე მჯერა, რომ ბასკები ქართველებზე უკეთეს ნათესავებს ვერსად იპოვნიან.

საქართველოდან გამგზავრების წინ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს მთავრობას და საერთოდ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რომელთა ყურადღებას ყველგან ვგრძნობდი, და ქართველ ხალხს, რომელიც ძმურად და მეგობრულად ცხოვრობს დიდ საბჭოთა ოჯახში.

შაბიერ კინტანა,
ბასკური ენის აკადემიის წევრი, ბილბაოს უნივერსიტეტის პროფესორი.



სურათზე: პროფესორი შაბიერ კინტანა (მარცხნიდან მეორე), ქართველ მეცნიერებთან (მარცხნიდან მარჯვნივ) — არნოლდ ჩიქობავასთან, ილია ტაბაღუასთან და ბასკოლოგ იური ზიცართან ერთად.

ინვალიდთა უკვდავსაყოფად

დიდ სამამულო ომში სოფელ ჩხორის ტუალის უბნიდან 52 ვაჟკაცი ჩადგა სამშობლოს მამაც დამცველთა რიგებში. მათ შორის ოცდათორმეტმა ვერ იხილა მშობლიური კერა, გმირის სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე.

მათ უკვდავსაყოფად კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით აშენდა შინმოუსვლელთა ობელისკი. აქ მუდამ იხარებს ყვავილები, თვალსაჩინოვით მოუვლიან ობელისკის ირგვლივ გაშენებულ მწვანე ნარგავებს, ტყე პარკს. იგი წვევამდელთა საზეიმო გაცილების წმინდა ადგილად იქცევა.

ბ. ალშიბაია.

სტუმრები გულგარეთიდან

ბათუმი. (საკ. კორ.). ყოველწლიურად იცვლება დელეგაციები ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოლქისა და აჭარის მშრომელთა შორის. ტრადიცია კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებზეც გადავიდა. გაზაფხულზე აჭარის კომკავშირელები ეწვივნენ მოძმე ბულგარელებს.

ახლახან ბათუმში ბლაგოევგრადის ოლქის პიონერთა დელეგაცია ჩამოვიდა, რომლის ხელმძღვანელია ქ. ბლაგოევგრადის პიონერთა სახლის დირექტორი გ. ბილარევი. სტუმრები დისვენებენ აჭარის პიონერთა ბანაკებში.

საპასუხო ვიზიტად ბათუმიდან ბულგარეთში დასასვენებლად 30 პიონერი გაეგზავნა.

„ცისკარი“ № 7

გამოვიდა ჟურნალი „ცისკარი“ № 7, რუბრიკით „VIII პლენუმის შუქზე“ ჟურნალი იხსენებს სოციალისტური შრომის გმირის, მეფოლადე ო. ლომაძის წერილით — „დისციპლინა უპირველეს ყოვლისა“.

ფელეტონი

სად წავიდე, ვის მივმართო?

რა ხანია, ვერაფერი
მოვუხერხე მოშლილ ონკანს
და ერთ წუთში, გეხმით?
წუთში
წყალს ვღვრი უქმად
რვა-ცხრა კოკას.

მიკრორაიახლმმართველის
სანახავად ვიყავ ახმეზის,
როგორც იქნა, შევხვდი (იგი
კაბინეტში ხუთ წუთს არ
ზის).

— შეიძლება?
— ჰო, რა გნებავს?
მითხარ, დროი არ მაქვს
ბევრი!
— ონკანს რაღაც გაუფუჭდა
და წყალს მიაქვს ყველფერი!

— გზა შეგშლია, ჩემო
ძმაო, —
გადაიხვა თმაზე ხელი, —
— რაო?!
— წყალმა რომ წაგიღოს,
მე ვერაფერს ვერ გიშველი.
„საეკსპლუბანს“ მიაკითხე,
წყალი მათი საქმე არი!..
გულზე შხამგადავლებულმა
გამოვიჯახუნე კარი.

საოთკენაც მიმასწავლეს,
წამსვე იქით ვქენი პირი,
მაგრამ არც იქ მიიტანეს
გულთან ჩემი გასაჭირი.

ბოლოს კოლმეურნეობის
მოედნისკენ გავიქეცი
და იქ ვიღაც ჩანთოსან კაცს
დავეტაკე, როგორც მხეცი:
— თქვენ ვინა ხართ?
— შენ ვის ეძებ?
— მე წყლის ხელოსანი
მინდა!
— მე ვარ! — თქვა და
საკუთარი
ოთხთვალათი წამოვიდა.

ონკანი კი „განიკურნა“,
მაგრამ მე დამეხსა რეტი,
როს მანეთის საფასურში
გადვიხადე ათჯერ მეტი.
უარესი: გულის გული
იმან უფრო მომიშხამა,
ხელოსანიც წავიდა და
სხვა ონკანი მოიშალა.

ვიცი, წყალი ცისკვეშეთში,
მიწა-ჰაერ-მზესთან ერთად,
მარადისი შემოქმედი
არის განახლების ფერთა.

ამის გამო არის სწორედ,
დღედაღამ რომ დარდი
მათოვს...
მიპასუხეთ, რა ვიღონო?
სად წავიდე? ვის მივმართო?

ქიშვარდ ისაკაძე.

ა. კანდელაკის ნახატი.

სპორტი

ფეხბურთი

გამარჯვება ოდესაში

„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დინამო“ (თბილისი)—0:1 (0:1)

გუშინ, 22 ივლისს ოდესის სტადიონზე მასპინძელთა საიერიშო განწყობილებამ მატჩის დასაწყისშივე იჩინა თავი და ეს შესამჩნევ უპირატესობაშიც გამოიხატა. თბილისელთა კართან შექმნილი სახიფათო მომენტის დროს (მეთექვსმეტე წუთზე) დინამოელთა ახალგაზრდა მცველი რუხაძე ისე მძიმედ დაშავდა, რომ მას მინდვრის დატოვება მოუხდა. თბილისელთა რიგებში გამოჩნდა კოსტავა, რომელმაც ამ სეზონში იძულებითი შესვენების შემდეგ შეძლო კვლავინდებური ოსტატობით თამაში და თანაგუნდელებს ღირსეულად აუბა მხარი. თბილისელთა კონტრიერიშები თანდათან სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა. ოდესელთა კარის ზედა ძელი რომ არა, მანუჩარ მაჩაიძის ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი მიზანს მიაღწევდა. ამის მერე დინამოელთა ერთ-ერთი იერიშის ბოლო მომენტში შენგელია-დარასელიას ზუსტად გათამაშებული კომბინაცია ამ უკანასკნელმა „ჩერნომორეცის“ კარის ალებით დაამთავრა.

მეორე ტაიმში მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ სტუმრებმა შეძლეს უამრავი სახიფათო მომენტის უვნებელყოფა. დიდებულად ითამაშეს მეკარე გოგიამ, მცველებმა, ნახევარმცველებმა და „დინამომ“ მეტად საჭირო და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა — 1:0.

ამ გამარჯვებით თბილისელებმა მნიშვნელოვნად განიმტკიცეს ლიდერის მდგომარეობა. „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გოგია, რუხაძე (კოსტავა), კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, დარასელია, შენგელია.

სხვა მატჩები

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეჩვიდმეტე ტურის კიდევ ექვსი მატჩი. გთავაზობთ შედეგებს:

„პაპატაკორი“-„კაირატი“ — 1:0
„ნეფთჩი“-„არარატი“ — 2:0
„დნეპრი“-„შახტიორი“ — 1:2
„ზარია“-„დინამო“ (მ.) — 0:1
„სპარტაკი“-„ტორპედო“ — 0:1
„ზენიტი“-„დინამო“ (კ.) — 1:0.

მატჩი მსოფლიოს კირველობაზე

მეს მე ყაიმი

გუშინ ბაგიოში გაიმართა მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის მატჩის მესამე პარტია ანატოლ კარპოვსა და გიქტორ კორჩნოის შორის. თეთრებით თამაშობდა პრეტენდენტი. პარტია ყაიმით დამთავრდა.

ლიდერი არ შეცვლილა

ვილნიუსი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). აქ მიმდინარე მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის მერვე ტურში ოთხი შეხვედრა დამთავრდა. ლებრედომ (კუბა) დაამარცხა დამიანოვიჩი (იუგოსლავია), ესპიგმა (გდრ) — ჩიმი (უნგრეთი). ყაიმით დამთავრდა გულკო-ტუკმაკოვისა და პეტროსიან-ლეხტინსკის (ჩეხოსლოვაკია) პარტიები. მაია ჩიბურდანიძისა და კაიშაურის (შვეიცია) გადადებულ პარტიაში ქართველ გოგონას უპირატესობა აქვს.

რვა ტურის შემდეგ ტუკმაკოვი 6 ქულით ლიდერობს. მომდევნო ადგილებზე არიან ლეხტინსკი და პეტროსიანი — 5-5 ქულა.

გ. გამრეკელი.

წყალხტომა

ლიანა ცოტაძე — უძლიერესი

გულგარეთში გამართულ წყალმხტომელთა საერთაშორისო ტურნირში თავი ისახელა თბილისელმა ლიანა ცოტაძემ. იგი ქალთა შორის 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში უძლიერესი იყო.

მოკლედ —

კალათბურთი. გურჯაანში დამთავრდა საქართველოს პირველობა „ა“ კლასის გუნდებს შორის. ქალთა კოლექტივებში უძლიერესის სახელი მოიპოვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა, ვაჟებში ყველას ჯობა თბილისის „დინამომ“.

იტალიის ქალაქ კაპა-დორლანდოში კი უფრო მაღალი რანგის შეჯიბრება გაიმართა. აქ სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა დაამარცხა სამი ძლიერი კოლექტივი: „ოლ სტარზი“ (აშშ) — 110:94, სირაკუზის უნივერსიტეტის გუნდი (აშშ) — 86:71, „პარუჯანი“ — 105:81 და ასპარეზობაში პირველობა მოიპოვა.

მთამსვლელობა. ახლა პამირის მთებში იმყოფება ქართველ მთამსვლელთა ორი ჯგუფი. პირველ მათგანს ხელმძღვანელობს გ. ქართველიშვილი, ხოლო მეორეს — შ. მირიანაშვილი. ეს ჯგუფები აპირებენ სხვადასხვა სიმაღლის დაპყრობას, ტექნიკური კლასის ასვლებსა და რამდენიმე მწვერვალის ტრავერსის მოწყობას.

ცურვა. დონის როსტოვში ზაბუკთა საკავშირო პირველობაზე კარგად ისახელა თბილისელმა გ. ფსუტურმა („განთიადი“). მან 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში მეორე ადგილი დაიკავა — 2 წუთი და 24,6 წამი.

ე. ციცაძე

ბარბაიანეთის
[illegible]
ბერძენ
[illegible]
ბ. ბერძენ
[illegible]
მნიშვნელობა
პერსონალ ური
პენსიონერი ეკა-
ტერინე ირაკ-
ლის ასული ცი-
ცაძე.

ე. ი. ცინცაძე დაიბადა 1900 წელს ჩხოტაურის რაიონის სოფელ ზემო ფარცხმაში, მუშის ოჯახში. სულ ახალგაზრდა შეეგება კომუნისტური პარტიის რიგებში, მონაწილეობდა რევოლუციურ საქმიანობაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში კი ხელმძღვანელობდა ქოხსამკითხველოებსა და ბიბლიოთეკებს. 1922 წელს იგი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად მუმფაკში სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით, ამავე დროს მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

მუშფაკის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საფეხმლო სკოლაში. შემდგომ წლებში იგი მუშაობდა თბილისის სხვადასხვა რაიონის სანიტარულ ექიმის თანაშემწედ და აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს ე. ი. ცინცაძის უმწიკლო შრომა, დაჯილდოებულია ორი მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის ეკატერინე ცინცაძის ხსოვნა მარად იცოცხლებს მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ტელევიზია

23 ივლისი

პირველი პროგრამით

09.00 — „ეკრანია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — კინონარკვევი, 09.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ხარკოვი“, „ოქვესკი“ (ფერადი), 10.30 — „მადონა“ (მოსკოვიდან), 11.00 — „ცეროდენას ეკრანი“ (ქართულ ენაზე), 11.20 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა, 11.50 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ასი დღე ბავშვობის შემდეგ“, 13.20 — მოსწავლეთათვის — „კოცონი“. სატელევიზიო პროგრამა, 14.00 — სატელევიზიო პროგრამა „ჯანმრთელობა“, 14.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (მოსკოვიდან), 15.00 — მოსწავლეთათვის „შიო არაგვისპირელი“, 15.35 — „კინოს მოყვარულთათვის“, 17.15 — „საერთაშორისო პანორამა“ (მოსკოვიდან), 17.45 — „დღეს ვაჭრობის მუშაკის დღეა“ (მოსკოვიდან), 18.00 — „კინოსაფიშა“, 18.30 — „ჩვენი სოფელი“ — სატელევიზიო პროგრამა, 19.15 — „კინონარკვევი, 19.25 — „უმაღლეს სასწავლებლებში — მხოლოდ ღირსეულნი“ (ფერადი), 19.45 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მოსკოვიდან), 20.50 — „კინოჟურნალი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ეკრანია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — „მუსიკალური შეხვედრები“ (ფერადი).

მეორე პროგრამით

18.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „სასწაულის მოლოდინში“ (ფერადი), 19.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ყველა მისი ვაჟიშვილი“, „ნოგეორდი“ (ფერადი).

24 ივლისი

პირველი პროგრამით

08.00 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.15 — „მელოდიიდან მელოდიამდე“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.45 — „ქიმიზაცია — მოსავლიანობის გადიდების მძლავრი ბერკეტი“, 12.00 — „საწარმოო ტანვარჯიში (მოსკოვიდან), 12.30 — „კოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „დიელოს“ კონცერტი, 12.40 — „კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — „ეკრანის მელოდიები, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მოსკოვიდან), 13.30 — „გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.58 — „ლიტერატურული კითხვა“. ლ. ი. ბრეჟნევი — „აღორძინება“ (თავი მეექვსე), 15.00 — „მეგობართა ხმები“. გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან, 16.45 — „ჯანმრთელობა“ (მოსკოვიდან), 18.10 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება“ (კონცერტი), 19.00 — „კომუნისტთა ეკონომიკური განათლება“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — რსდმპ II ყრილობის 75 წლისთავისათვის. „ვ. ი. ლენინი ახალი ტიპის პარტიისათვის ბრძოლაში“. გადაცემა პირველი (მოსკოვიდან), 20.30 — „თეატრი მიკროფონთან“. თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „ოჯახი“, 23.30 — დ. გამრეკელის კონცერტი.

მეორე პროგრამა

რედაქტორი
დ. მგელაძე

რაც დასაგმობია!

დარღვევანდობა? უპრეცედენტო!

მახსოვს: ფონიჭალის ავტოპროფილაქტორიუმში ჩემზე წინ ერთმა მოქალაქემ მანქანა რომ გაარეცხვინა, მუშას ქვითარი მისცა, მერე დაკლული ქათმებთან და კვერცხებთან სავსე მანქანის საბარგული დინჯად გახსნა, იქიდან ჯერ ყვითელი ნაფერდლებით გამოტენილი დედალი გადმოიღო, შემდეგ ოცეოდე კვერცხიან საკვერცხეს წამოვლო ხელი და გაუწოდა. კლიენტისაგან განებივრებული რეზონის ჩექმებიანი და რეზინისავე ფეშტამლიანი მრეცხავიც კი, სიჩუქრად მანეთიანს ან სამმანეთიანს რომ ჩაუშმუჭნიან ხოლმე ჯიბეში, თვით ისიც კი გაწითლდა, უხერხულად იგრძნო თავი.

— აიღე, ბიჭო, აიღე, გაძლევ, ხომ არ გართმევ, — ბატონკაცური მედიდურობით ეუბნებოდა საკუთარი გულკეთილობითა და ხელგაშლილობით ქმაყოფილი და ნასიამოვნები კლიენტი.

არ ვიცი, ეს კაცი ვინ იყო, ან რას ფიქრობდა იმ დროს მრეცხავი ბიჭზე, ერთ რამეში კი ეჭვი არ შემპარვია: არც ის დედლები იყო მის ეზოში დაზრდილი და არც კვერცხები იყო მის საბუდარში დადებული. მაგრამ, თუ ის კლიენტი მაინც დაიწყებდა საწინააღმდეგოს მტკიცებას, მაშინ კი პირში მივახლიდი, ეგ საკენკი თქვენ წიწილებს დაუყარე-მეთქი.

ათიოდე წლის წინანდელი ეს ამბავი მომაგონდა, როცა ამ დღეებში დიღმის ახლოს, სოფელ ვაშლაჯვართან მდებარე მანქანების ავტომატური სარეცხი დანადგარის „ჩეკატოს“ ოპერატორის თ. გაჩეჩილაძისა და მრეცხავის რ. იაშაღაშვილის ახსნა-განმარტებას ვკითხულობდი. ისინი წერენ, რომ გაზ-21 მარკის „ვოლგის“ გარეცხვაში ზედმეტი არ გვითხოვია, კლიენტმა თვითონ მოგვცა ათი მანეთიო.

ძნელი სათქმელია, ფონიჭალელი მრეცხავიანთ გაწითლდნენ თუ არა უხერხულობისაგან ვაშლაჯვარელი მრეცხავებიც, როცა ზღვარგადასულად ხელგაშლილმა კლიენტმა ორმანეთიანი ქვითრის გარდა კიდევ ხუთმანეთიანი და სამმანეთიანი ჩაჩეჩა ხელში.. ის კი მჯერა, რომ ამბის ნამდვილობას წყალი არ გაუვა. იმ დოკუმენტზე მოკლე მინაწერია: ახსნა-განმარტების მიცემას დავამზადებ. ი. კუჭუხიძე, 13. V. 1978 წ.

მიხეილ კუჭუხიძე საქსოფლტექნიკის რესპუბლიკური გაერთიანების საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსია, აგრონომ-ეკონომისტის სპეციალობით უმაღლესი განათლებამიღებული. ოთხ წელიწადზე მეტია, რაც იგი გაერთიანების სამმართველოს უდგას სათავეში. პოსტი მეტად პასუხსაგები და სიპატიოა, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გაზრდილ ოოს, რომელიც სარევიზიო და შემმოწმებელ ორგანოებს აკისრიათ რესპუბლიკის ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის გაჩაღებულ მუშაობაში.

განვლილი გზის მიუხედავად, აქვს თუ არა ასეთ კაცს მორალური უფლება უხელმძღვანელოს კოლექტივს საერთოდ, და კერძოდ, ისეთს, რომელსაც სხვისი კონტროლი აკისრია, და მრავალნაირი რწმუნებით არის აღჭურვილი?

სარევიზიო საქმიანობაში კომპეტენტურობაზე თავს ვერ დავდებთ. ამიტომ, სიტყვას თვითკომპეტენტურსა და ავტორიტეტულ ორგანოებს დავუთმობთ.

დავწყოთ იმით, თუ საერთოდ რა მდგომარეობაა სისტემაში სოციალისტური საკუთრების დაცვის მხრივ, რისთვისაც მოწოდებულია სარევიზიო აპარატი.

— საქსოფლტექნიკის ზოგიერთი რაიონული კანტორის გაერთიანებისა და ბაზის დაქვემდებარებული ორგანიზაციების შემოწმებით, — ნათქვამია საქართველოს სსრ პროკურორის წარდგენებში, — დადგენილია, რომ ირღვევა სოციალისტური საკუთრების დაცვის კანონი, არ არის სათანადო კონტროლი, გვხვდება უყაირათობა, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია აღრიცხვა, ანგარიშგება. მთლიანად გაერთიანებაში ჯერ კიდევ სუსტია მტაცებლობის, გაფლანგვის, მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახსრების დანაკლისის წინააღმდეგ პროფილაქტიკური მუშაობა.

ამის კი შედეგად მოჰყვა ის, რომ შარშან დებიტორული დავალიანება 2.600 ათასი მანეთით გაიზარდა და 10 მილიონ მანეთს გადაამეტა. გაიზარდა არამწარმოებლური ხარჯებიც, დაეგებილი ზარალიც.

აი რა აზრისაა სამმართველოს საქმიანობაზე საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო, რომლის წარმომადგენლებმა წლეულს გაერთიანება საქსოფლტექნიკის შიგასაუწყებო კონტროლის მდგომარეობა შემოწმეს. „გაერთიანების საკონტროლო-საუწყებო მუშაობა არ დგას მოწოდების სიმაღლეზე“. „რევიზიები ეწყობა მოუმზადებლად, წინასწარ შედგენილი პროგრამის გარეშე. ხშირ შემთხვევაში იგი ფორმალურ ხასიათს ატარებს“.

ყურადსაღებია კიდევ ერთი გარემოება. რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის შემოწმებით დადასტურებულია, რომ ზოგიერთი რაიონის, კერძოდ, ვანის, თეძროლის, ცხინვალის რაიონებში საქსოფლტექნიკის განყოფილებების საწარმოო მომსახურებაზე მყოფ კოლმეურნეობებს ზედმეტს ახდევინებენ. ცხინვალის რაიონის ქემერტის, ძარწმის, კეხვის კოლმეურნეობებს შარშან 3492 მანეთი გადაახდევინეს ზედმეტი. ამის მხლეობა კი უპირველესად საქსოფლტექნიკის რეგიზორთა მოვალეობა იყო.

საგულისხმოა, რომ გაერთიანების სარევიზიო აპარატი შემოწმების დროს, როგორც წესი, ვერ ამხელს სერიოზულ დარღვევებს.. სამაგიეროდ, დიდი დამახინჯებანი და დანაშაულობანი ცნობილი ხდება მაშინ, როცა საქმეში სხვა შემმოწმებელი ორგანიზაციებს ერევიან.

1977 წელს საქსოფლტექნიკის საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის მიერ გამოვლინებული იყო 12 ათასი მანეთის დანაკლისი, მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოები მარტო გარდაბნის რაიონის გაჩიანის რესპუბლიკურ ბაზაში 147 ათასი მანეთის სახელმწიფო ქონების დატაცებას წააწყდნენ. ასე იყო აგრეთვე გურჯაანის, ახმეტის, თეთრი წყაროს რაიონებშიც. ზოგჯერ კი ეს სამმართველო არა თუ ხელს უწყობს, არამედ საეჭვოდ აფერხებს სხვა ორგანოებს მიერ ამ მიმართულებით წამოწყებულ მუშაობას.

ყოველივე ამის შემდეგ ნამდვილად დაგებადებათ ეჭვი, ხომ არ სკოდვდნენ გაერთიანების ადმინისტრაციული და პარტიული ხელმძღვანელები, როცა კუჭუხიძეს ყოველმხრივ დადებით დახასიათებას აძლევდნენ.

საზოგადოება ყოველთვის აკრიტიკებს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს იმათ, ვინც ძალით გლეჯენ მომხმარებლებს, კლიენტსა თუ მგზავრს კაპიკებს. აქ კი კაცი, რომელიც თავის სამსახურებრივი მდგომარეობით მოვალეა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის იბრძოდეს, დაუნდობლად ილაშქრებდეს სოციალისტური ქონების დატაცებისა და განიავების, სამართალდარღვევისა და დანაშაულობის წინააღმდეგ, სწორედ ის გვეელინება ავთა და ცუდის ხელისშემწყობად.

წერილის დასაწყისში მოყვანილი ფაქტი არ არის ისეთი შემთხვევა, როცა დარდიმანდობისათვის აკრიტიკებ ვინმეს და ზოგჯერ მაინც ეჯიბრე ყოყმანობს, მთლად შენს მხარეზე დადგეს თუ არა, და ამბობს, დიდი ამბავი თუ შექმეფიანებულმა და მომსახურებით ნასიამოვნებმა კაცმა ორიოდე მანეთი დაუტოვა ოფიციანტს. მაგრამ ახლა ისეთი ფაქტი გვაქვს ხელთ, „დიდი ამბავიაო“, არავის წამოსცდება, თუ არა კუჭუხიძის კატეგორიებით მოაზროვნეს.

ალბათ